ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ
ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

# 2024-2025 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

# 2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში დაკავებული პირების პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვების შედეგები

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**
**2025**

გამოცემის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
თამარ ონიანი

ავტორები: თამარ ბოჭორიშვილი
ფატიმა ჩაფიჩაძე
თამაზ კირტავა

სასამართლო პროცესების დამკვირვებლები: ნანა მჭედლიშვილი
მარიამ ჭიქიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

---

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

-----------------------------------------------------------------------------------

*© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

# სარჩევი


შესავალი ........ 4

კონტექსტი ........ 4

მეთოდოლოგია ........ 5

ძირითადი მიგნებები ........ 6

თავი 1 – „პოლიტიკური პატიმრები“ (მნიშვნელობა და კონტექსტი) ........ 12

1.1. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განმარტება ........ 12

1.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი და ევროპული სასამართლო პრაქტიკა ........ 13

1.3. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის განმარტება ........ 15

1.4. გაეროს სამუშაო ჯგუფი თვითნებური დაკავების საკითხზე (WGAD) ........ 15

1.5. ამნესთი ინთერნეიშენალი (ტერმინი „სინდისის პატიმარი“) ........ 17

თავი 2 – შეფასებები საქართველოსთან დაკავშირებით აქციების კონტექსტში დაკავებული პირების საქმეებზე ........ 18

2.1. ევროპის საბჭო ........ 18

2.2. ევროკავშირი ........ 18

2.3. ეუთო ........ 19

2.4. 20 ევროპული ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ერთობლივი განცხადება ........ 19

2.5. 24 დიპლომატიური წარმომადგენლობის ერთობლივი განცხადება ........ 20

2.6. ამნესთი ინთერნეიშენალი (Amnesty International) ........ 20

2.7. კლუნების ფონდი სამართლიანობისთვის ........ 22

2.8. სხვა გამოხმაურებები ........ 22

თავი 3 – საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები ........ 23

3.1. წარდგენილი ბრალდების შესახებ ინფორმაცია ........ 23

3.2. პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე ........ 23

3.3. არასათანადო მოპყრობის შემთხვევები ........ 26

3.4. საჯაროობის პრინციპის შეზღუდვა ........ 30

3.5. რუსული კანონის საწინააღმდეგო პროტესტის დროს დაკავებულ პირთა საქმეების განხილვის მიზანმიმართული გაჭიანურება ........ 33

3.6. დაცვის უფლების შეზღუდვა ........ 35

3.7. თარჯიმნებთან დაკავშირებული გამოწვევები ........ 37

3.8. განაჩენები და სასჯელები ........ 38

3.9. ნარკოტიკული დანაშაულის საქმეები ........ 39

3.10. „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილების პრობლემურობა ........ 42

3.11. უდანაშაულობის პრეზუმფცია ........ 43

თავი 4 – პროკურატურის და პროკურორების ინსტიტუციური და პროფესიული პასუხისმგებლობა და სისხლისსამართლებრივი დევნის მართებულობის კრიტერიუმები ........ 46

დასკვნა ........ 51

დანართი 1 ........ 52

დანართი 2 ........ 54

დანართი 3 (ცხრილი) ........ 56

# შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) წარმოდგენილი ანგარიშით აჯამებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მონიტორინგის შედეგებს, რომლებიც შეეხება 2024-2025 წელს აქციების კონტექსტში დაკავებული/დაპატიმრებული 69 პირის სისხლის სამართლის საქმეებს. 10 პირს ბრალი ედება 2024 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციებთან, ხოლო 59 ადამიანს - 2024-2025 წლების ნოემბერ-თებერვლის აქციებთან / განგრძობად პროტესტთან მიმართებით.

მონიტორინგის მიზნით, ორგანიზაციის წარმომადგენლები 2024 წლის მაისიდან 2025 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში 300-მდე სხდომას დაესწრნენ. სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის მიზანია სასამართლო სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციების ობიექტური დამკვირვებლის თვალით დანახვა. საია სასამართლოს მონიტორინგს 2013 წლიდან ახორციელებს. ის არის პირველი ორგანიზაცია, რომელმაც საქართველოში სასამართლოს მონიტორინგის სახელმძღვანელო პრინციპები და მეთოდოლოგია შეიმუშავა.[1]

# კონტექსტი

2024 წლის გაზაფხულიდან (და მკვეთრად - 2024 წლის 28 ნოემბრიდან), ქვეყანაში ადამიანის უფლებების მზარდი კრიზისის ფონზე,[2] რეპრესიების ერთ-ერთი სახეა დემონსტრანტების[3] წინააღმდეგ სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება. ამ კონტექსტში, საიას დაკვირვების ქვეშ არსებული საქმეებიდან გამომდინარე, იმ პირების რაოდენობა, რომელთაც ბრალი წარედგინათ / ან უკვე არიან მსჯავრდადებულნი, არის 69, რაც საკმაოდ მაღალი რიცხვია.

საპროტესტო აქტივობებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის წესით დაკავებების გამოყენებამ, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო მშვიდობიანი პროტესტის კრიმინალიზებას და შეზღუდა თავისუფალი შეკრება. აქციების მონაწილეთათვის წაყენებული ბრალდებები, ასევე, პროცესების პარალელურად, მაღალი რანგის სუბიექტების მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემთხვევები, დაკავებულთა მიმართ გატარებული ღონისძიებები და მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა მიანიშნებს „ქართული ოცნების" ხელისუფლების მხრიდან განსხვავებული აზრისა და პოზიციის მქონე ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნაზე, რაც საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობას ემსახურება.

---

[1] საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2021, განახლებულია: 12.09.2025.

[2] საია, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, 2024, განახლებულია: 12.09.2025.

[3] იგულისხმება დემონსტრაციები 2024 წლის გაზაფხულზე „რუსული კანონის" წინააღმდეგ და დემონსტრაციები 2024 წლის 28 ნოემბრიდან, რომელიც მოჰყვა „ქართული ოცნების" განცხადებას ევროკავშირთან მოლაპარაკებების შეჩერებაზე. ვრცლად, კონტექსტისთვის, იხ. საიას ანგარიშები: საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიცირებიდან 60 დღის განმავლობაში, 2024; სამოქალაქო უფლებები მზარდი საპოლიციო ტერორის პირისპირ, 2024; იხ. ასევე, სამოქალაქო საზოგადოების 11 ორგანიზაციის ერთობლივი დოკუმენტირების ანგარიში: ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2025. განახლებულია: 12.09.2025.

# მეთოდოლოგია

საია სასამართლოს მონიტორინგს 2011 წლიდან ახორციელებს. ამ დრომდე ორგანიზაციამ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის 18 ანგარიში მოამზადა, ასევე, გამოსცა 2 სპეციალური ანგარიში.[4] სისხლის სამართლის პროცესებს საია სპეციალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით აკვირდებოდა. მონიტორინგი წარიმართა უშუალოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის დარბაზში დასწრებით. დაკვირვების პროცესში მონიტორები ხელმძღვანელობდნენ სპეციალურად შემუშავებული კითხვარებით. ანგარიშში ასახული ყველა ინფორმაცია მიღებულია ამგვარ სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ" კითხვებს, რომლებზეც პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო „კი" ან „არა", ასევე „ღია" კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და აესახათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთანავე, საიას მონიტორები ყველა პროცესის განმავლობაში აწარმოებდნენ ნარატიულ დოკუმენტირებასაც სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა და ანალიტიკოსებმა შეძლეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. საბოლოოდ, გაანალიზდა და შეფასდა სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან. ასევე, დამუშავდა მონიტორინგს დაქვემდებარებულ საქმეთა შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ანგარიშში წარმოდგენილი დაკვირვებები ასახავს მნიშვნელოვან და საყურადღებო მონაცემებს როგორც სასამართლო სისტემის, ისე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის.

**საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 69 პირის 300-მდე სისხლის სამართლის სასამართლო სხდომას. მონიტორინგის მიზნებისთვის საქმეები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:**

- სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია სავარაუდოდ პოლიტიკური ან სამოქალაქო აქტივიზმის ნიშნით ადამიანების დევნასთან;
- რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებიდან (2024 წლის გაზაფხული) გამომდინარე სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირთა საქმეები;
- 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომი აქციების შედეგად დაკავებულ პირთა სისხლის სამართლის საქმეები.

ამასთანავე, დოკუმენტში წარმოდგენილია მედიაორგანიზაციების - „ნეტგაზეთისა" და „ბათუმელების" დამფუძნებლის, მზია ამაღლობელის სისხლის სამართლის სხდომებზე გამოვლენილი უფლებრივი დარღვევებიც. ამ საქმეში საია მზია ამაღლობელის ინტერესებს იცავდა იურიდიული წარმომადგენლობის სახით.

[4] საიას ანგარიშები სხვადასხვა წლის გამოცემების მიხედვით, განახლებულია: 12.09.2025.

# ძირითადი მიგნებები

სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვება ავლენს, რომ აქტივისტების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გამოყენება, რაც მიმართულია არა მხოლოდ კონკრეტული შესაძლო დანაშაულის გამოვლენის და აღკვეთისკენ, არამედ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების  უფლებაზე ზეწოლისკენ, არის არა იზოლირებული უფლებადარღვევა, არამედ შეიცავს პოლიტიკური მოტივის / ფარული განზრახვის ელემენტს. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით.

## 1. წარდგენილი ბრალი

აქტივისტებს ბრალი უმეტესად ედებათ ისეთი დანაშაულებისთვის, როგორებიცაა ჯგუფური ძალადობის ორგანიზება ან მასში მონაწილეობა; აფეთქების მომზადება; პოლიციელზე თავდასხმა; ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საშიში საშუალებით; ნარკოტიკული საშუალების,  მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით; სტრატეგიული ობიექტის ბლოკირების მცდელობა და სხვა (დეტალურად იხილეთ თანმდევი ცხრილი).

## 2. აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება

სასამართლო თითქმის ყოველთვის, პირველ ეტაპზე, იყენებდა და შემდეგშიც, უმეტესად, უცვლელად ტოვებდა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახეს - პატიმრობას. მოსამართლე აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობას პატიმრობის შეფარდების თაობაზე ბრალდებულების ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღების გარეშე, როგორებიცაა ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, მათი პიროვნება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა.

საიას შეფასებით, აქტივისტებისთვის შეფარდებული დაუსაბუთებელი, გრძელვადიანი საპატიმრო ღონისძიება არ ემსახურება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებს და მისი ამოცანაა აქციებში მონაწილეთა დასჯა ან/და მათზე ზემოქმედება.

საიას მიერ განხორციელებული სასამართლოს მონიტორინგის შედეგები, წლებია, ავლენს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ყოველთვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში არ ხდება. პრაქტიკაში, ამ კუთხით იკვეთება ორი პრობლემური საკითხი: პატიმრობის შეფარდების მაღალი მაჩვენებელი და დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევები (ვრცლად იხილეთ თავი 3.2.).

## 3. არასათანადო მოპყრობის შემთხვევები

დაკავებულ დემონსტრანტთა 19% (13 პირი) პროცესზე უთითებდა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე, რომლებიც, თავისი არსით, უთანაბრდება საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ და სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებებს (მათ შორის, გარემოებების მიხედვით, თითოეული შეიძლება გაუთანაბრდეს სსკ-ის $144^1$-ე, $144^2$-ე, $144^3$-ე მუხლებით გათვალისწინებულ წამებას, წამების მუქარას, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას).

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითეს: საბა სხვიტარიძემ, რევაზ კიკნაძემ, ნიკოლოზ კაციამ, ანატოლი გიგაურმა, დავით ხომერიკმა, დავით ლომიძემ, თემურ ზასოხაშვილმა, არჩილ მუსელიანცმა, ანასტასია ზინოვკინამ, არტემ გრიბულმა, თევდორე აბრამოვმა, ალექსანდრე ელისაშვილმა და მზია ამაღლობელმა.

ამასთანავე, რამდენიმე ბრალდებული საუბრობდა პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზე, როგორებიცაა: სიცხე და არასათანადო ვენტილაცია, საკანში ტარაკნების არსებობა, წყლისა და კანალიზაციის პრობლემა. რამდენიმე პატიმარი ასევე მიუთითებდა დაწესებულებაში არასაკმარის სამედიცინო დახმარებაზე.

არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამოძიება ხასიათდება არაეფექტიანობით. თავის დროზე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და მისი გაუქმების შემდეგ (2025 წლის 1-ლი ივლისი) პროკურატურას არ გამოუვლენიათ პასუხისმგებელი პირები. მათ შორის, 13-იდან 12 პირს (საიას ინფორმაციით, დაზარალებულის სტატუსი მხოლოდ საბა სხვიტარიძეს აქვს) დაზარალებულადაც კი არ ცნობს პროკურატურა (ვრცლად იხილეთ ქვეთავი 3.3.).

## 4. საჯაროობის პრინციპი

პირველ ეტაპზე საჯაროობა იზღუდებოდა ინდივიდუალური მოსამართლეების თვითნებობით[5] ან/და პროცესების მცირე დარბაზში ჩატარებით, რაც დაინტერესებულ პირებს სხდომაზე დასწრების შესაძლებლობას ართმევდა. შემდგომ მედიებს შეეზღუდათ პროცესების გაშუქება და გაუარესდა კანონმდებლობა სასამართლოს გამჭვირვალობის თვალსაზრისით.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებებით, დაუშვებელი გახდა: სასამართლოში (სასამართლოს შენობაში, სხდომის დარბაზში, სასამართლოს ეზოში) ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება და ტრანსლაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. გადაღებული მასალების გავრცელება ასევე სასამართლოს დისკრეციის ფარგლებში მოექცა - მას შეუძლია, გაავრცელოს ან არ გაავრცელოს თავის ხელთ არსებული ფოტო, კინო და ვიდეო მასალები. ცვლილებებით, პრაქტიკულად, სრულად შეიზღუდა მედიის მიერ პროცესების გაშუქება. დათქმა, რომ სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ასევე ტრანსლაცია, შეიძლება დაშვებული

---

[5] ზოგიერთი მოსამართლე, წესრიგის დარღვევის საფუძვლით, დაუსაბუთებლად, ნაწილობრივ ან სრულად ხურავდა სასამართლო სხდომას. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ირაკლი შვანგირაძის გადაწყვეტილებამ სხდომის დახურვის შესახებ გამოიწვია საზოგადოების ყველა დამსწრის, მათ შორის, მედიასაშუალებების დარბაზიდან უხეში ფორმებით გაძევება (გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა, რომელიც არ უზრუნველყოფდა პროცესის პირდაპირ ტრანსლაციას). იხ. საიას განცხადება, „საია ეხმიანება სასამართლო სხდომის დაუსაბუთებლად, ნაწილობრივ დახურვას, რის შედეგადაც, უფლებადაცვითი ორგანიზაციის მიერ სასამართლო მონიტორინგის განხორციელებას ხელი შეეშალა“, 05.03.2025. განახლებულია: 12.09.2025.

იყოს ყოველ კონკრეტულ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებით, პრაქტიკაში არ ამუშავდა. არაერთი მედიასაშუალების მიმართვის მიუხედავად, მიეღოთ ნებართვა აქტივისტების სისხლის სამართლის საქმეების განხილვის გაშუქების თაობაზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უკუკავშირიც კი არ ჰქონია.

პრობლემები შეინიშნებოდა სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებითაც. დემონსტრანტების წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ ინფორმაცია ყოველთვის არ იყო განთავსებული სასამართლოს ვებგვერდსა ან/და სასამართლოს შენობაში ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ მონიტორზე (ვრცლად იხილეთ ქვეთავი 3.4.).

## 5. საქმეთა გაჭიანურება

2024 წლის გაზაფხულის აქციების კონტექსტში დაკავებული პირების სისხლის სამართლის საქმეები ხელოვნურად ჭიანურდებოდა.[6] შეინიშნებოდა დასკვნით ფაზაში არსებული საქმეების პროცესების დიდი ინტერვალით გადადების ტენდენცია. სხდომები, უმეტესად, 2 თვეში ერთხელ , პატიმრობის სავალდებულოდ გადასინჯვის აუცილებლობის გამო ინიშნებოდა, რაზეც დაცვის მხარის წარმომადგენლები მუდმივად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. განხილვა დროულად არ სრულდებოდა იმ მოტივით, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს აქტივისტების შეწყალება თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ფარგლებში ვერ მოესწრო (ვრცლად იხილეთ ქვეთავი 3.5.).

## 6. დაცვის უფლების შეზღუდვა

აქტივისტების მიმართ მიმდინარე საქმეებზე ერთ-ერთი გამოწვევა იყო, ზოგ შემთხვევაში, დაცვის უფლების შეზღუდვაც.

თერთმეტი პირის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე[7] მოსამართლემ ყველა ბრალდებულს უსაფუძვლოდ, სავალდებულო წესით დაუნიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი, მაშინ, როდესაც, ერთის გარდა, ყველა დანარჩენი ბრალდებულის ადვოკატები სხდომას ესწრებოდნენ და აცხადებდნენ, რომ არ სურდათ, მათ საქმეში ახალი ადვოკატის ჩართვა. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა საზოგადოებრივი ადვოკატების დანიშვნის კანონისმიერი საფუძვლები. პრევენციულად საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ასევე ბრალდებულსა და ადვოკატს შორის ნდობის ფაქტორი. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება ნდობას. ბრალდებულთა მიერ სხდომაზე გაცხადებული პოზიციით, მათ ამ მიზნით ჰყავდათ კერძო, შეთანხმებით მოწვეული ადვოკატები. ზემოაღნიშნული ფაქტი შეიძლება შეფასდეს, როგორც სასამართლოს უხეში ჩარევა ბრალდებულის დაცვის უფლებაში.

---

[6] საბა მეფარიშვილისა და ომარ ოკრიბელაშვილის, გიორგი ოკმელაშვილის, დავით კოლდარისა და გიორგი კუჭუაშვილის, ასევე, ფრიდონ ბუბუტეიშვილის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები.

[7] ბრალდებულ ანდრო ჭიჭინაძის, ონისე ცხადაძის, გურამ მირცხულავას, ჯანო არჩაიას, ლუკა ჯაბუას, რუსლან სივაკოვის, რევაზ კიკნაძის, გიორგი ტერიშვილის, ვალერი თეთრაშვილის, სერგეი კუხარჩუკის და ირაკლი ქერაშვილის საქმე. ბრალდება: სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 225 - ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა. მოსამართლე: ნინო გალუსტაშვილი.

ზემოაღნიშნული ქმედება აჩენდა ეჭვს, რომ მოსამართლე ცდილობდა, 9-თვიან საპატიმრო ვადაში დაესრულებინა პროცესი ისე, რომ იძულებული არ გამხდარიყო, ვადის გასვლის გამო შეეცვალა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა.

მიმდინარე საქმეებში გამოიკვეთა თარჯიმნებთან დაკავშირებული პრობლემებიც. თარჯიმნის არაკვალიფიციურობა ან თარგმნის პროცესში გამოვლენილი არსებითი ხარვეზები პირდაპირ ზღუდავს ბრალდებულის უფლებებს, განსაკუთრებით, დაცვის ეფექტიანი განხორციელებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვის თვალსაზრისით. როდესაც ბრალდებულს არ აქვს შესაძლებლობა, გაიგოს მის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესის შინაარსი, მათ შორის, ბრალდების ფორმულირება, მტკიცებულებების შეფასება და მოწმეების ჩვენებები, იგი ვერც საკუთარი პოზიციის გამოხატვას ახერხებს და ვერც დაცვის მექანიზმებს იყენებს ადეკვატურად.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარემ განმარტა, რომ თარჯიმნის მიერ განხორციელებული თარგმანი არ ემსახურებოდა ბრალდებულის ინტერესებს და ზოგჯერ იყო მნიშვნელოვნად არასაკმარისი ან არასათანადო. გამოწვევები უკავშირდებოდა როგორც თარგმნის ხარისხს, ასევე ნეიტრალურობისა და ეთიკური სტანდარტების დარღვევას, რაც არსებითი ბარიერი იყო პროცესში ბრალდებულის სრულფასოვანი მონაწილეობისა და დაცვის უფლების რეალიზებისთვის (ვრცლად იხილეთ ქვეთავი 3.6.).

## 7. განაჩენები და სასჯელები

აქტივისტების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების მიდგომა, ძირითადად, მკაცრია, რაც, მათ შორის, გამოიხატება უმეტესად გამამტყუნებელ განაჩენებსა და ე.წ. საპატიმრო სასჯელებში.

აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე ყველა საქმის სასამართლო განხილვები დასრულდა (2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით, პირველი ინსტანციის სასამართლოში განიხილება მხოლოდ ნინო დათაშვილის და 2 თებერვლის საქმეები[8]).

ხაზგასასმელია, რომ გიორგი ახობაძის, თევდორე აბრამოვის და ნიკოლოზ კაციას გარდა, სასამართლომ ყველა პირი დამნაშავედ ცნო.

რამდენიმე საქმეზე სასამართლომ დაკავებულების მიმართ წარდგენილი ბრალდებები გადააკვალიფიცირა, კონკრეტულად, ანატოლი გიგაურის, ე.წ. რვა[9] და თერთმეტპირიან[10] საქმეებზე მოსამართლეებმა წარდგენილი ბრალდებები უფრო მსუბუქ მუხლებზე გადააკვალიფიცირეს, ხოლო ერთ შემთხვევაში, საბა სხვიტარიძის საქმეზე, **თავად პროკურატურამ შეცვალა კვალიფიკაცია -** ნაცვლად სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისა (რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს) მას ბრალი 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) წარედგინა.

---

[8] ბრალდებულები: ირაკლი წიგნაძე, გიორგი უგულავა, დიმიტრი ბიძინაშვილი, ირაკლი ტაბატაძე, ნიკოლოზ კუტუბიძე, ვასილი ელიავა, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ალექსანდრე გოგოლაძე.

[9] ბრალდებულები: ნიკოლოზ ჯავახიშვილი, თორნიკე გოშაძე, ირაკლი მიმინოშვილი, ზვიად ცეცხლაძე, ვეფხია კასრაძე, ვასილ კაძელაშვილი, გიორგი გორგაძე და ინსაფ ალიევი.

[10] ბრალდებულები: ანდრო ჭიჭინაძე, ონისე ცხადაძე, გურამ მირცხულავა, ჯანო არჩაია, ლუკა ჯაბუა, რუსლან სივაკოვი, რევაზ კიკნაძე, გიორგი ტერიშვილი, ვალერი თეთრაშვილი, სერგეი კუხარჩუკი და ირაკლი ქერაშვილი.

ბრალი გადაუკვალიფიცირდა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელსაც - ნაცვლად სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლისა (პოლიციელსა ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა), მოსამართლემ განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) დაადგინა.

სასამართლომ რუსული კანონის პროტესტის დროს სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირთა მიმართ სასჯელის სახედ 10-იდან 8-ს ე.წ. საპატიმრო სასჯელი განუსაზღვრა. რაც შეეხება ნოემბერ-დეკემბრის აქციების კონტექსტში დაკავებულ პირებს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ყველა მსჯავრდადებულ პირს სასჯელის სახედ და ზომად ე.წ. საპატიმრო სასჯელი - ვადიანი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა (იხილეთ თანდართული ცხრილი).

თბილისის საქალაქო სასამართლოში აქტივისტების მიმართ მიმდინარე საქმეების სასამართლო განხილვებმა, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულებს უკავშირდებოდა, გამოავლინა, რომ, უმეტესად, საქმეში არ მოიპოვება ნეიტრალური მტკიცებულება, ხოლო, ზოგ შემთხვევაში, პროკურატურის მიერ ნეიტრალურ მოწმეებად წარმოჩენილი პირების ნეიტრალურობა ეჭვს იწვევს. გარდა ამისა, არ არის წარმოდგენილი ვიდეომტკიცებულებები მაშინაც კი, როცა შესაძლებელი იყო გარე პერიმეტრზე არსებული იმ ვიდეოჩანაწერების გამოთხოვნა, რომლებშიც, სავარაუდოდ, ასახული იქნებოდა ჩხრეკა-ამოღების პროცესი. ამასთანავე, ზოგიერთ საქმეში კითხვის ნიშნებს აჩენდა ვიდეომტკიცებულებები, რომლებიც ჩხრეკის ჩატარების პროცესს ასახავდა (ვრცლად იხილეთ ქვეთავი 3.9.).

## 8. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ინსტრუმენტალიზება

2025 წლის 2 თებერვალს დაგეგმილი დემონსტრაციის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ 2025 წლის 31 იანვარს ცვლილება შეიტანა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №361 დადგენილებაში. შედეგად, „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ობიექტების ჩამონათვალს დაემატა ერთადერთი პუნქტი: „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრული საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები. ზემოხსენებული ცვლილებით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა „თბილისი მოლის“ მიმდებარედ, აღმაშენებლის გამზირის გადაკეტვისთვის. მოგვიანებით, ამ ცვლილების საფუძველზე, საქართველოს პროკურატურამ 8 პირს ბრალი წარუდგინა.

მთავრობის დადგენილებაში ცვლილება ერთ დღეში შევიდა. ამ ცვლილებით, შესაძლებელი გახდა, სისხლისსამართლებრივად დასჯადი გამხდარიყო ქმედება, რომელიც ერთი დღით ადრე პასუხისმგებლობის საფუძველი არ იქნებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოხსენებული აქცია დადგენილების ცვლილებამდე იყო დაანონსებული, ხოლო დადგენილება აქციამდე ერთი დღით ადრე შეიცვალა, დროის მცირე შუალედის გამო, საზოგადოებას არ მიეცა გონივრული ვადა, ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი.

დაგეგმილ აქციამდე 1 დღით ადრე მთავრობის დადგენილებაში მხოლოდ ერთი პუნქტის ჩამატება, რომელიც მოიცავს დაანონსებული აქციის ჩატარების ტერიტორიას, აჩენს ეჭვს, რომ „ქართული ოცნება“ ბოროტად იყენებს უფლებამოსილებას და ცდილობს, ხელოვნურად ხელი

შეუშალოს ადამიანის ფუნდამენტურ, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას (ვრცლად იხილეთ ქვეთავი 3.10.).

## 9. სპეცრაზმელთა და მეთაურთა დაუსჯელობა

საგანგაშოა, რომ აქციების დროს აქტივისტების და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე არცერთი პირის მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამასთანავე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმებით „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ, დემონსტრაციულად გამოხატა, რომ არ აპირებს საპოლიციო ძალადობის და არასათანადო მოპყრობის ეფექტიან გამოძიებას, ევროკავშირთან ასოცირების პროცესში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებას.

# თავი 1 – „პოლიტიკური პატიმრები“ (მნიშვნელობა და კონტექსტი)

განსახილველი საქმეების შეფასება მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკური მართლმსაჯულების საკითხთან. საზოგადოების დიდი ნაწილი, საერთაშორისო ინსტიტუტები და რეპუტაციული უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები დაკავებულ პირებს - პოლიტიკურ პატიმრებად, ხოლო მათ მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას პოლიტიკური მართლმსაჯულების გამოვლინებად მიიჩნევენ (იხ. თავი 2). შესაბამისად, ამ საქმეებზე მსჯელობისას, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს, რა შემთხვევაში მიიჩნევა პირი პოლიტიკურ პატიმრად და რა გარემოებები მიუთითებს სისხლის სამართლის პოლიტიკურ იარაღად გამოყენებაზე. წარმოდგენილ თავში მიმოხილულია ის სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც, შესაძლოა, პირი პოლიტიკურ პატიმრად ან სინდისის პატიმრად შეფასდეს. ანგარიში ანალიზისას ეყრდნობა ამ თავში განხილულ სტანდარტებს.

## 1.1. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის განმარტება

ტერმინის „პოლიტიკური პატიმარი“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს, თუმცა, **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის** 2012 წლის 1900-ე რეზოლუციაში[11] მოცემულია ამ ტერმინის ფართოდ გავრცელებული დეფინიცია.

*ამ რეზოლუციის მიხედვით, „თავისუფლებააღკვეთილი პირი „პოლიტიკურ პატიმრად“ მიიჩნევა, თუ:*

*ა. ის დააკავეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი ოქმით დაცული რომელიმე გარანტიის, განსაკუთრებით, აზრის, სინდისისა და რელიგიის, გამოხატვისა და ინფორმაციის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებების დარღვევით;*

*ბ. პირი დააკავეს წმინდად პოლიტიკური მიზეზებით, რაიმე დარღვევასთან კავშირის გარეშე;*

*გ. პოლიტიკური მოტივების გამო, დაკავების ხანგრძლივობა და მისი პირობები აშკარად არაპროპორციულია დარღვევასთან, რომლის ჩადენაშიც პირს ბრალი ედება ან დამნაშავედ იყო ცნობილი;*

*დ. პირი დაკავებულია დისკრიმინაციულად, სხვა პირებთან შედარებით;*

*ე. პატიმრობა არის შედეგი ისეთი სასამართლო პროცესისა, რომელიც იყო ცალსახად უსამართლო და ეს, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივთან“.*

2025 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელი პოლიტიკური პატიმრების საკითხზე განმარტავს, რომ „პოლიტიკური პატიმრის“ ამ დეფინიციამ, **შესაძლოა, მოიცვას თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ხანგრძლივობა და ფორმა**, იქნება ეს მსჯავრდების შედეგად თავისუფლების აღკვეთა, წინასწარი პატიმრობა, ექსტრადიციის კონტექსტში პატიმრობა, ადმინისტრაციული დაკავება თუ შინაპატიმრობა.[12]

---

[11] PACE, Resolution 1900 (2012), განახლებულია: 12.09.2025.

[12] PACE Committee on Legal Affairs and Human Rights Situation of political prisoners in Russia and Belarus Information Note General Rapporteur on Political Prisoners in Europe: Ms Azadeh ROJHAN, Sweden, Socialists, Democrats and Greens Group, AS/Jur (2025) 12, განახლებულია: 12.09.2025.

## 1.2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი და ევროპული სასამართლო პრაქტიკა

მართალია, **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა** ტერმინის „პოლიტიკური პატიმარი" განმარტებას არ იძლევა, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით რელევანტურია სასამართლოს პრაქტიკა კონვენციის მე-18 მუხლის შესახებ.

მე-18 მუხლის მიხედვით, დაუშვებელია უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული.

როდესაც ამ კონტექსტში სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის ბრალდებაში პოლიტიკური ან სხვა სახის მიზნის არსებობის საკითხს, იგი ყურადღებას აქცევს შემდეგ ფაქტორებს:

i. ფართო სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა განმცხადებლის წინააღმდეგ.[13]
ii. ამოძრავებდა თუ არა პროკურატურას და სასამართლო ხელისუფლებას ფარული მიზანი (ulterior motive).[14] განსაკუთრებით:
iii. ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო განცხადებები, შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში, მიუთითებდეს ადამიანის მიზანმიმართულ დევნაზე.[15]
iv. გარკვეულმა პოლიტიკურმა კლიმატმა, შესაძლოა, შექმნას გარემო, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე განმცხადებელთან მიმართებით ან სხვა ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებიც იმავე ჯგუფს ან კატეგორიას განეკუთვნებიან.[16]
v. არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომ სასამართლო არასაკმარისად დამოუკიდებელი იყო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან.[17]
vi. არის თუ არა განმცხადებლის წინააღმდეგ ბრალდება ნამდვილი და აღწევს თუ არა „გონივრული ეჭვის" სტანდარტს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით.[18] როდესაც ბრალდება ემყარება ფაქტებს, რომლებიც, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, გონივრულად ვერ მიიჩნევა სისხლისსამართლებრივად დასჯადად, განსაკუთრებით რელევანტურია მისი მიმართება კონვენციის მე-18 მუხლთან და, შესაძლოა, ამტკიცებდეს ფარული განზრახვის (ulterior motive) არსებობას.[19]
vii. იყო თუ არა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები კარგად დასაბუთებული.[20]

---

[13] მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (MERABISHVILI v. GEORGIA), 72508/13, 28 November 2017, par. 322.
[14] ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (BATIASHVILI v. GEORGIA), 8284/07, 10 October 2019, par. 102.
[15] მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (MERABISHVILI v. GEORGIA), 72508/13, 28 November 2017, par. 324; ასევე, მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (MAMMADOV v. AZERBAIJAN), 15172/13, 22 May 2014, par 142.
[16] სელაჰათინ დემირტაში თურქეთის წინააღმდეგ (SELAHATTİN DEMİRTAŞ v. TURKEY) (No. 2), 14305/17, 22 December 2020, par 434, 436.
[17] იქვე. ასევე, იხ. მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (MERABISHVILI v. GEORGIA), 72508/13, 28 November 2017, par. 324.
[18] ისმაილოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (ISMAYILOVA v. AZERBAIJAN) (No. 2), 30778/15, 27 February 2020, par 111.
[19] კავალა თურქეთის წინააღმდეგ (KAVALA v. TURKEY), 28749/18, 10 December 2019, par. 220, 224.
[20] აზიზოვი და ვორუზლუ აზერბაიჯანის წინააღმდეგ (AZIZOV AND NOVRUZLU v. AZERBAIJAN), 65583/13, 70106/13, 18 February 2021, par. 78.

viii. ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები საკმარისად პასუხობდა თუ არა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნებს და იყო თუ არა მათი ხანგრძლივობა ადეკვატური.[21]

*მე-18 მუხლის გამოყენება*

კონვენციის მე-18 მუხლი გამოიყენება არა დამოუკიდებლად, არამედ რომელიმე სხვა მუხლთან ერთობლიობაში. თუმცა, შესაძლოა, მე-18 მუხლის დარღვევა კონკრეტულ მუხლთან მიმართებით დადგინდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ცალკე აღებული ამ მუხლის დარღვევა არ დადგინდება.[22]

*ფარული მიზნის არსებობა*

შესაძლოა, შეზღუდვას საფუძვლად ედოს არა კონვენციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი, არამედ ფარული განზრახვა. შეზღუდვა, შესაძლებელია, მხოლოდ ფარულ მიზანს ემყარებოდეს, ან გააჩნდეს, ერთდროულად, როგორც კონვენციასთან შესაბამისი მიზანი, ასევე ფარული განზრახვა.[23] ერთი მხრივ, კონვენციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ გამორიცხავს ფარული მიზნის არსებობასაც, ისევე, როგორც ლეგიტიმურ მიზანთან ერთად ფარული მიზნის არსებობა *a priori* არ გულისხმობს მე-18 მუხლის დარღვევას.[24] კონვენციასთან შესაბამისი და ფარული მიზნის ერთობლივად არსებობის შემთხვევაში, სასამართლო აფასებს, რომელი მათგანი იყო პრედომინანტური.[25]

*პრედომინანტური მიზნის დადგენა*

მე-18 მუხლი ირღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფარული მიზანი პრედომინანტური იყო.[26] იმის შეფასება, არის თუ არა მიზანი პრედომინანტური, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე.[27] შეფასებისას სასამართლო ყურადღებას აქცევს სავარაუდო ფარული მიზნის ბუნებას და მისი გასაკიცხაობის ხარისხს, ასევე, ითვალისწინებს იმას, რომ კონვენცია შეიქმნა დემოკრატიული საზოგადოების და სამართლის უზენაესობის ღირებულებების დასაცავად.[28]

> ევროპული სასამართლო შეზღუდული არ არის მხოლოდ პირდაპირი მტკიცებულებებით და, შესაძლოა, განიხილოს არაპირდაპირი (circumstantial) მტკიცებულებებიც.[29] ეს უკანასკნელი, ამ შემთხვევაში, გულისხმობს ინფორმაციას ძირითადი ფაქტების შესახებ, კონტექსტურ ფაქტებსა ან მოვლენათა ჯაჭვს, რომელმაც, შესაძლოა, შექმნას ძირითადი ფაქტების შესახებ დასკვნების გაკეთების საფუძველი.[30] სასამართლო ხშირად ასევე

[21] ნავალნი რუსეთის წინააღმდეგ (NAVALNYY v. RUSSIA) (No. 2), 43734/14, 9 April 2019, par. 95.
[22] მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (MERABISHVILI v. GEORGIA), 72508/13, 28 November 2017, par. 288. აღსანიშნავია, რომ, მე-18 მუხლის გამოყენების და განმარტების სტანდარტები შეჯამებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (MERABISHVILI v. GEORGIA [GC]). აღსანიშნავია, რომ ამ საქმემდე ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ამ მუხლთან დაკავშირებით, ზოგ შემთხვევაში, ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, რის გამოც, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ საჭირო იყო სტანდარტის უფრო მკაფიოდ გამოკვეთა და შეჯამება.
[23] იქვე, 292.
[24] იქვე, 303-305.
[25] იქვე, 308.
[26] იქვე, 305.
[27] იქვე, 307.
[28] იქვე, 307.
[29] იქვე, 316.
[30] იქვე, 317.

მხედველობაში იღებს საერთაშორისო დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის ანგარიშებს და განცხადებებს, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ან ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს, რათა ნათელი მოჰფინოს ფაქტებს, ან გადაამოწმოს სასამართლოს მიგნებები.[31]

**პრედომინანტურ ფარულ მიზანზე შეიძლება მიუთითებდეს კონკრეტული პიროვნების მიზანმიმართული დევნა,[32] ასევე, გარკვეული ჯგუფის დევნის ტენდენცია, მაგალითად, მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი პირების, აქტივისტების და უფლებადამცველების უსაფუძვლო დაკავება და მათ მიმართ სისხლის სამართლის მექანიზმების ბოროტად გამოყენება.[33]**

აღსანიშნავია, რომ, ერთი მხრივ, პირის სპეციალური სტატუსი, მაგალითად, პოლიტიკოსის მიმართ სისხლის სამართლის დევნა, ავტომატურად არ მიუთითებს ფარულ მიზანზე,[34] ისევე, როგორც პოლიტიკური სტატუსის არარსებობა არ გამორიცხავს სისხლისსამართლებრივი დევნის უკან მდგარ ფარულ მოტივს.[35]

## 1.3. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის განმარტება

2014 წელს **ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ** მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 2012 წლის 1900-ე რეზოლუციის მიღებას პოლიტიკური პატიმრის დეფინიციის შესახებ.[36] ამ განმარტებას იყენებს თავის ანგარიშებში **ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენელი პოლიტიკური პატიმრების საკითხზე.[37]**

## 1.4. გაეროს სამუშაო ჯგუფი თვითნებური დაკავების საკითხზე (WGAD)

WGAD თვითნებური დაკავების 5 კატეგორიას გამოყოფს:

**1-ლი კატეგორია** - როდესაც დაკავებას სამართლებრივი საფუძველი არ აქვს.[38] სამართლებრივი საფუძვლის დადგენისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ სამართლებრივი ნორმის არსებობა. პირველ კატეგორიაში მოექცევა ისეთი შემთხვევა,

---

[31] იქვე.
[32] მაგალითად საქმეზე ნავალნი რუსეთის წინააღმდეგ (NAVALNYY v. RUSSIA [GC]), რომელიც ნავალნის დაკავების 7 ეპიზოდს მოიცავდა, მოვლენების თანმიმდევრობისა და ქცევის მოდელების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის, როგორც ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, მიზანში ამოღება გავლენას ახდენდა არა მხოლოდ მასზე ან მის მხარდამჭერებზე, არამედ დემოკრატიის არსზეც და „მნიშვნელოვანი სიმძიმის" ფარულ მიზანს შეიცავდა. NAVALNYY v. RUSSIA, 29580/12, 15 November 2018, par. 173-176.
[33] აზიზოვი და ნოვრუზლუ აზერბაიჯანის წინააღმდეგ (AZIZOV AND NOVRUZLU v. AZERBAIJAN), 65583/13, 18 February 2021, par. 76.
[34] სელაჰათინ დემირტაში თურქეთის წინააღმდეგ (SELAHATTİN DEMİRTAŞ v. TURKEY (No. 2), 14305/17, 22 December 2020, par 424.
[35] მამადლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (MAMMADLI v. AZERBAIJAN), 47145/14, 19 April 2018, par. 103.
[36] OSCE PA, BAKU DECLARATION2014, par. 113, განახლებულია: 12.09.2025.
[37] ANNUAL REPORT OF THE OSCE PA SPECIAL REPRESENTATIVE ON POLITICAL PRISONERS CONGRESSMAN STEVE COHEN (USA), THE 30TH ANNUAL SESSION OF THE OSCE PA JUNE 30 – JULY 4, 2023, განახლებულია: 12.09.20255; ANNUAL REPORT OF THE OSCE PA SPECIAL REPRESENTATIVE ON POLITICAL PRISONERS CONGRESSMAN STEVE COHEN (US), THE 31ST ANNUAL SESSION OF THE OSCE PA JUNE 29 – JULY 3, 2024, განახლებულია: 12.09.2025.
[38] Working Group on Arbitrary Detention, FACT SHEET NO. 26/REV. 1, 12, განახლებულია: 12.09.2025.

როდესაც პირის დაკავება ისეთი კანონის საფუძველზე ხდება, რომელიც აშკარად არღვევს საერთაშორისო სამართალს.[39]

**მე-2 კატეგორია** - როდესაც თავისუფლების შეზღუდვა დაკავშირებულია ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობასთან (გადაადგილების თავისუფლება, აზრისა და რწმენის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება, აქტიური/პასიური საარჩევნო უფლება, თანასწორობის უფლება). ამ კატეგორიაში შედის ისეთი შემთხვევები, როდესაც თავისუფლების შეზღუდვა არის პასუხი ამ უფლებების ლეგიტიმურ გამოყენებაზე.[40]

**მე-3 კატეგორია** - როდესაც სახეზეა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. თუ სამუშაო ჯგუფი დაადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებული გარანტიების დარღვევას, შემდგომ მსჯელობს იმაზე, არის თუ არა ეს დარღვევები იმ სიმძიმის, რომ, ერთობლიობაში, გამოიწვიოს თავისუფლების შეზღუდვის თვითნებური ხასიათი.[41]

**მე-4 კატეგორია -** როდესაც თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები და მიგრანტები ექვემდებარებიან თავისუფლების ხანგრძლივ შეზღუდვას, სასამართლო ზედამხედველობის ან ადმინისტრაციული პროცესის გარეშე.[42]

**მე-5 კატეგორია -** როდესაც თავისუფლების შეზღუდვა ხდება დისკრიმინაციული მიზეზით, დაბადების ადგილის, ეროვნების, ეთნიკურობის, სოციალური წარმომავლობის, ენის, რელიგიის, ეკონომიკური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა სტატუსის საფუძველზე და მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის უფლებების თანასწორობის უგულებელყოფას.[43]

სამუშაო ჯგუფი არ იყენებს ტერმინს „პოლიტიკური პატიმარი“, თუმცა პოლიტიკური მოსაზრებების ან საქმიანობის გამო უსაფუძვლო დაკავებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით რელევანტურია მე-2 და მე-5 კატეგორიები. სამუშაო ჯგუფის განმარტებით, მჭიდრო კავშირი არსებობს მე-2 და მე-5 კატეგორიის შემთხვევებს შორის: როდესაც თავისუფლების აღკვეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აქტიური გამოყენების შედეგია, არსებობს ძლიერი პრეზუმფცია, რომ იგი მე-5 კატეგორიაშიც ექცევა.[44] დისკრიმინაციული მოტივის დასადგენად, სამუშაო ჯგუფი, კონკრეტული საქმის გარემოებებთან ერთად, ყურადღებას აქცევს როგორც კონკრეტული პირის მიმართ იქამდე არსებული დევნის პრაქტიკას, ასევე, უფრო ფართო კონტექსტს, მაგალითად, ადამიანის უფლებების სხვა საერთაშორისო მექანიზმების შეფასებებს და სამუშაო ჯგუფის წინა მოსაზრებებს, რომლებშიც მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანების დევნის ანალოგიური ტენდენცია იკვეთება.[45]

[39] WGAD, Opinion No. 4/2019, par. 49.
[40] Working Group on Arbitrary Detention, FACT SHEET NO. 26/REV. 1, 14, განახლებულია: 12.09.2025.
[41] იქვე, 15.
[42] იქვე, 17.
[43] იქვე, 18.
[44] WGAD, Opinion No. 3/2024, par. 110.
[45] WGAD, Opinion No. 4/2025, par. 79.

## 1.5. ამნესთი ინთერნეიშენალი (ტერმინი „სინდისის პატიმარი“)

ხშირად ადამიანის უფლებათა დამცველები იყენებენ ტერმინს „სინდისის პატიმარი“. ეს ტერმინი ზოგჯერ „პოლიტიკური პატიმრის“ სინონიმად გამოიყენება.[46]

ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის, ამნესთი ინთერნეიშენალის (Amnesty International) თანახმად, სინდისის პატიმარი (prisoner of conscience) შემდეგნაირად განიმარტება: **ადამიანი, რომელსაც თავისუფლება აღეკვეთა მხოლოდ მისი რწმენის გამო ან დისკრიმინაციული მიზეზებით, რაც დაკავშირებულია მის ეთნიკურობასთან, სექსუალობასთან, გენდერსა ან სხვა იდენტობასთან და, რომელსაც არ გამოუყენებია ძალადობა, არ განუხორციელებია ძალადობის ან სიძულვილის ადვოკატირება.**[47]

შესაბამისად, **ამნესთი ინთერნეიშენალის მიერ გამოყენებული ტერმინი „სინდისის პატიმარი“ პოლიტიკური პატიმრის ზუსტი სინონიმი არ არის და იგი კიდევ უფრო ვიწრო ცნებაა,** ვიდრე პოლიტიკური პატიმარი. ამ განმარტებაში არაძალადობრივ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.[48]

---

[46] მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინმა კარგა ხანია ადგილი დაიმკვიდრა ადამიანის უფლებების დამცველთა ლექსიკონში, იგი ყველაზე მჭიდროდ სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო ორგანიზაცია ამნესთი ინთერნეიშენალთან (Amnesty International) არის ასოცირებული. სწორედ ამნესთი ინთერნეიშენალს უკავშირდება ამ ტერმინის შექმნა. სინდისის პატიმრების უფლებების დაცვასთან არის კავშირში ამნესთი ინთერნეიშენალისთვის 1977 წელს მინიჭებული ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. Amnesty International, Amnesty International handbook, 2002, 5, განახლებულია: 12.09.2025; იხ. ასევე ამნესთი ინთერნეიშენალის დამფუძნებლის, პიტერ ბენენსონის 1961 წლის სტატიის ტექსტი, სადაც მან პირველად გამოიყენა ეს ტერმინი: AMNESTY INTERNATIONAL SPEAK FREE INFORMATION SHEET 3, 2011, განახლებულია: 14.09.2025. იხ. ასევე https://peaceprizelaureates.nobelpeacecenter.org/en/laureate/1977-amnesty-international, განახლებულია: 14.09.2025.

[47] „a person who has been deprived of their liberty solely because of their conscientiously held beliefs, or for discriminatory reasons relating to their ethnicity, sexuality, gender, or other identity, who has not used violence or advocated violence or hatred.“ იხ. Amnesty International statement on Aleksei Navalny, 25.02.2025, განახლებულია: 14.09.2025.

[48] Amnesty International statement on Aleksei Navalny, 25.02.2025, განახლებულია: 14.09.2025; Amnesty International Statement on Alexei Navalny’s status as Prisoner of Conscience, 21.05.2025, განახლებულია: 14.09.2025.

# თავი 2 – შეფასებები საქართველოსთან დაკავშირებით აქციების კონტექსტში დაკავებული პირების საქმეებზე

## 2.1. ევროპის საბჭო

- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2585 (2025)[49] ჩამოთვლის იმ ზომებს, რომელთა მიღებაც, ასამბლეის აზრით, აუცილებელია საქართველოში პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად. მათ შორის, ერთ-ერთი პუნქტი **პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებაა** (პარ. 7.1.).
- ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი 6 აგვისტოს მზია ამაღლობელის განაჩენს სოციალურ ქსელ X-ზე გამოეხმაურა.[50] მან აღნიშნა, რომ სასჯელი არაპროპორციულია და არსებით პრობლემებს წარმოქმნის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებით. კომისარმა ხელისუფლებას მზია ამაღლობელის გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

## 2.2. ევროკავშირი

- ევროპული პარლამენტის 2025 წლის 13 თებერვლის რეზოლუცია[51] საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს **ყველა პოლიტიკური პატიმრის** და ანტისამთავრობო აქციებზე დაკავებულების უპირობო და მყისიერი გათავისუფლებისკენ. ასევე, მოითხოვს **მზია ამაღლობელის** გათავისუფლებას (პარ. 11).
- ევროპული პარლამენტის 2025 წლის 9 ივლისის რეზოლუცია[52] განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს **პოლიტიკური პატიმრების მზარდ რაოდენობასთან** დაკავშირებით და ხელისუფლებას კვლავ მათი უპირობო, მყისიერი გათავისუფლებისკენ მოუწოდებს (პარ. 1). ასევე, იმეორებს მოწოდებას **მზია ამაღლობელის** მყისიერი, უპირობო გათავისუფლების და მისთვის წაყენებული ბრალდების გაწვევის თაობაზე, რომელიც პოლიტიკურად მოტივირებულია (პარ. 15).[53]
- ევროკავშირის პრეს-სპიკერის 2025 წლის 06 აგვისტოს განცხადებაში[54] მკაცრად არის დაგმობილი **მზია ამაღლობელის** მიმართ გამოტანილი განაჩენი. ევროკავშირი ღრმა შეშფოთებას გამოხატავს სასამართლო სისტემის ინსტრუმენტალიზაციისა და დამოუკიდებელი ხმების წინააღმდეგ რეპრესიის იარაღად მისი გამოყენების გამო. ევროკავშირი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გაათავისუფლოს მზია ამაღლობელი და  უსამართლოდ დაკავებული პირები.

---

[49] PACE Resolution 2585 (2025), განახლებულია: 14.09.2025.

[50] იხ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის გამოხმაურება სოციალურ ქსელ X-ზე, განახლებულია: 14.09.2025.

[51] European Parliament resolution of 13 February 2025 on the further deterioration of the political situation in Georgia (2025/2522(RSP)),  განახლებულია: 14.09.2025.

[52] European Parliament resolution of 9 July 2025 on the 2023 and 2024 Commission reports on Georgia (2025/2024(INI)), განახლებულია: 14.09.2025.

[53] რეზოლუცია ასევე მკაცრად გმობს პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებების გამო ზურაბ ჯაფარიძის, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, გიორგი ვაშაძის, ნიკა მელიას და სხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების დაკავებას, მათ მსჯავრდადებას და მათ პოლიტიკურ პატიმრებად მიიჩნევს (იქვე, პარ. 10).

[54] საქართველო: ევროკავშირის პრეს-სპიკერის განცხადება ჟურნალისტ მზია ამაღლობელის მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით,  განახლებულია: 14.09.2025.

## 2.3. ეუთო

- პორტოს დეკლარაცია[55] - ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ 3 ივლისს მიღებული დეკლარაცია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, **გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი** (პარ. 62).
- მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის შეფასება[56] - **მზია ამაღლობელის** მიმართ გამოტანილ განაჩენს ის 6 აგვისტოს სოციალურ ქსელ X-ის საშუალებით გამოეხმაურა და შემაშფოთებელი უწოდა, იმავდროულად, სახელმწიფოს მისი გათავისუფლებისკენ მოუწოდა.
- ეუთოს წევრი 37 სახელმწიფოს განცხადება[57] - 2025 წლის 11 სექტემბერს ეუთოს 37-მა სახელმწიფომ გამოაქვეყნა განცხადება საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ, რომელშიც მკაცრად დაგმო **მზია ამაღლობელისთვის** მისჯილი არაპროპორციული სასჯელი და ბოლო პერიოდში **პროტესტის მონაწილეებისთვის** შეფარდებული საპატიმრო ღონისძიებები. მათ მოუწოდეს საქართველოს, გაათავისუფლოს უსამართლოდ დაკავებული ყველა პირი, უზრუნველყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და დაიცვას სამართლიანი სასამართლოს უფლება.
- გავრცელებული ინფორმაციით, ეუთო/ოდირი მზადყოფნას გამოხატავდა, საჭირო თანხმობის შემდეგ, განეხორციელებინა პოლიტიკურ პატიმართა პროცესების მონიტორინგი. ამასთან დაკავშირებით ისინი 2024 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მოიწვია, თუმცა, „ქართული ოცნება“ მათ შესაბამის თანხმობას არ აძლევს.[58]

## 2.4. 20 ევროპული ქვეყნის[59] საგარეო საქმეთა მინისტრების და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ერთობლივი განცხადება

- ბრიტანეთის საელჩოს მიერ 2024 წლის 11 ივლისს გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია: „მკაცრად ვგმობთ **ოპოზიციური პარტიების ლიდერების პოლიტიკურად მოტივირებულ დაკავებებსა და დაპატიმრებებს,** რაც აშკარად მიზნად ისახავს ადგილობრივ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პოლიტიკური ოპოზიციის ჩახშობას საქართველოში. მათი დაკავება, ისევე, როგორც **თვითნებური დაკავებები და მზარდი რეპრესიები ქართული ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი პირების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მშვიდობიანი მომიტინგეებისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიმართ,** საქართველოში დემოკრატიის ჩამოშლას და ქვეყნის ავტორიტარულ სისტემად სწრაფად გარდაქმნას უწყობს ხელს, რაც ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებსა და ნორმებს“.

---

[55] PORTO DECLARATION AND RESOLUTIONS ADOPTED BY THE OSCE PARLIAMENTARY ASSEMBLY AT THE THIRTY-SECOND ANNUAL SESSION PORTO, 29 JUNE – 3 JULY 2025, განახლებულია: 14.09.2025.
[56] იხ. მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის პოსტი სოციალურ ქსელ X-ზე, განახლებულია: 14.09.2025.
[57] ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კანადა, ხორვატია, ჩეხეთი, კვიპროსი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მონტენეგრო, მალტა, მოლდოვა, ნიდერლანდები, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო, ლიეტუვა. იხ. The human rights situation in Georgia: Joint Statement to the OSCE, September 2025, განახლებულია: 14.09.2025.
[58] IPN სიახლე, „გიორგი ბურჯანაძე - პოლიტიკური პატიმრების საქმეებზე „ოცნება“ ეუთო/ოდირს მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო თანხმობას არ აძლევს“, 21.07.2025, განახლებულია: 25.09.2025.
[59] ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ისლანდია, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო. იხ. Joint statement on recent developments in Georgia, 11.07.2025, განახლებულია: 14.09.2025.

## 2.5. 24 დიპლომატიური წარმომადგენლობის[60] ერთობლივი განცხადება

- 6 აგვისტოს გავრცელებულ განცხადებაში დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა დაგმეს **მზია ამაღლობელის მიმართ გამოტანილი განაჩენი** და ის შეაფასეს, როგორც **არაპროპორციული და პოლიტიზებული.** მათი განმარტებით, მზია ამაღლობელის საქმე, ასევე, „ბათუმელებსა" და „ნეტგაზეთზე" განხორციელებული ზეწოლა საქართველოში ჟურნალისტების დაშინების მზარდი ტენდენციის, დაუსჯელი ძალადობისა და სამართლებრივი დევნის მაგალითია.

## 2.6. ამნესთი ინთერნეიშენალი (Amnesty International)

- 14 აპრილის განცხადება[61] - **მზია ამაღლობელის** დაკავება, შესაძლო არასათანადო მოპყრობა და სასამართლო პროცესი იძლევა განსაკუთრებული შეშფოთების საბაბს მისი სისხლისსამართლებრივი დევნის სავარაუდო მოტივთან დაკავშირებით. აღნიშნული, პოლიციის მხრიდან თვალსაჩინო დაუსჯელობასთან შეპირისპირებით, მიუთითებს მის და აქციის სხვა მონაწილეების მიმართ საქართველოში არსებული სისხლისსამართლებრივი სისტემის დისკრიმინაციულ მოპყრობაზე. **მზია ამაღლობელის საქმე აგრეთვე ხაზს უსვამს უფრო ფართო პრობლემებს, მათ შორის, პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლისსამართლებრივ დევნას,** განსხვავებული აზრის ჩახშობას და გენდერული ნიშნით ანგარიშსწორებას მათ მიმართ, ვინც საქართველოში მშვიდობიანი პროტესტის უფლებით სარგებლობს.
- 25 ივნისის განცხადება „სამართალი პროტესტის ნაწამები ქართველი მონაწილის, საბა სხვიტარიძისთვის"[62] - **საბა სხვიტარიძის** დაკავებას და მის მიმართ შემდგომ მოპყრობას, როგორც ჩანს, შურისძიების სახე აქვს და მიზნად ისახავს მის დასჯას პროტესტში მონაწილეობისთვის, ასევე, ფართო მსუსხავი ეფექტის შექმნას, რათა სხვებმა თავი შეიკავონ აქციებში მონაწილეობისგან. მისი საქმე ხასიათდება სახელმწიფოს მხრიდან უკანონო და შურისძიების მოტივით განხორციელებული ქმედებებით, რაც თანხვედრაშია უფრო ფართო ტენდენციასთან, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლება სისხლის სამართლის სისტემას განსხვავებული აზრის ჩასახშობად იყენებს. **23 ივლისს** ამნესთი ინთერნეიშენალმა ასევე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც საბა სხვიტარიძის მამა შვილის დაკავებას იხსენებს.[63] ვიდეოს აღწერაში ვკითხულობთ „არავინ უნდა დაისაჯოს ხმის ამაღლებისთვის, არავინ უნდა აწამონ თავისუფლების მოთხოვნისთვის".
- 27 ივნისის განცხადება[64] - ამნესთი ინთერნეიშენალის განცხადების მიხედვით, ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს განსხვავებული აზრის დაუნდობელი დევნა, პროტესტის მონაწილეებსა და პოლიტიკურ აქტივისტებზე თავდასხმა ადამიანის უფლებებით მშვიდობიანად სარგებლობის გამო [...].

---

[60] ავსტრიის, ბელგიის, კანადის, ჩეხეთის, დანიის, ესტონეთის, ევროკავშირის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ისლანდიის, ირლანდიის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ესპანეთის, შვედეთის, უკრაინისა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები. იხ. 24 დიპლომატიური წარმომადგენლობის ერთობლივი განცხადება ჟურნალისტ მზია ამაღლობელის მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, განახლებულია: 14.09.2025.

[61] Amnesty International document, Georgia: Justice for Journalist Mzia Amaghlobeli, 14.04.2025, განახლებულია: 14.09.2025.

[62] Amnesty International document, Georgia: Justice for Tortured Georgian Protester: Saba Skhvitaridze, 25.06.2025, განახლებულია: 14.09.2025.

[63] იხ. ამნესთი ინთერნეიშენალის ფეისბუქ-პოსტი, განახლებულია: 15.09.2025.

[64] Amnesty International statement, Georgia: Crackdown on government critics deepens as another opposition politician is jailed, 27.06.2025, განახლებულია: 15.09.2025.

- 11 ივლისის განცხადება[65] - **საბა ჯიქიას** განაჩენს ამნესტი ინთერნეიშენალი განცხადებით გამოეხმაურა. მართალია, განცხადებაში იგი პირდაპირ „პოლიტიკურ პატიმრად“ არ არის მოხსენიებული, თუმცა, აღნიშნულია, რომ „სამართლისადმი შერჩევითი მიდგომა დიდ შეშფოთებას იწვევს და ხელისუფლებამ მყისიერად უნდა დაასრულოს ეს დაუსჯელობა და უსამართლობა“.
- 6 აგვისტოს განცხადება[66] - ამნესტი ინთერნეიშენალი გამოეხმაურა **მზია ამაღლობელის** მიმართ გამოტანილ განაჩენს. ორგანიზაციის თანახმად, „პროცესი იყო მიკერძოებული და დატვირთული პროცედურული დარღვევებით. სასამართლომ უარი განაცხადა, დაეკმაყოფილებინა დაცვის მხარის შუამდგომლობების დიდი ნაწილი და გამოეძიებინა პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის დამაჯერებელი ბრალდება. მზია ამაღლობელმა უნდა მიიღოს სამართლიანი სასამართლო, ხოლო არასათანადო მოპყრობა, რომელიც მან გადაიტანა, უნდა იყოს გამოძიებული და პასუხგაცემული მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად“.
- 22 აგვისტოს განცხადება[67] - ამნესტი ინთერნეიშენალის თანახმად, **ანდრო ჭიჭინაძისა და მასთან ერთად ბრალდებული 10 პირის** სასამართლო პროცესები სამართლიანი სასამართლოს უფლების მრავალი დარღვევით ხასიათდება, ხოლო მათ მიმართ წარდგენილი **ბრალდებები, როგორც ჩანს, პოლიტიკურად მოტივირებულია**. ამნესტი ინთერნეიშენალმა, მათ შორის, შემდეგ გარემოებებზე გააკეთა აქცენტი:
  - სანამ ბრალდებულებს უარს ეტყოდნენ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებაზე, მათ არგუმენტებს არ მიექცა სათანადო ყურადღება;
  - ანდრო ჭიჭინაძესა და სხვებს ბრალი ედებათ ჯგუფურ ძალადობაში, თუმცა მათ, როგორც ჯგუფს, არაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან, არ არსებობს ორგანიზებული ან კოორდინირებული ძალადობის დამადასტურებელი მტკიცებულება;
  - პროკურატურამ ვერ მოახერხა დანაშაულის კანონით გათვალისწინებული ელემენტების დამტკიცება;
  - მთავარი მტკიცებულება არის ვიდეო, რომელიც აჩვენებს როგორ ისვრის ანდრო ჭიჭინაძე ჯოხს, თუმცა არ ჩანს, სად ვარდება ეს ჯოხი, ასევე, პროკურატურამ ვერ დაამტკიცა, რომ მან რაიმე ზიანი გამოიწვია;
  - სასამართლომ ეჭვგარეშედ მიიღო პოლიციელთა ჩვენებები, მათ შორის, იმ პოლიციელის, რომელმაც ერთ-ერთი ბრალდებული არასწორად დააიდენტიფიცირა;
  - მაღალი თანამდებობის პირებმა დაარღვიეს ბრალდებულების უდანაშაულობის პრეზუმფცია;
  - სასამართლომ არ გამოიკვლია არაადამიანური მოპყრობის დამაჯერებელი ბრალდებები.

  ამნესტი ინთერნეიშენალის თანახმად, ანდრო ჭიჭინაძისა და მასთან ერთად ბრალდებული პირების პატიმრობა უნდა გადაიხედოს, მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანი სასამართლო ან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ. ამნესტი ინთერნეიშენალის ინსტაგრამ-გვერდზე 27 აგვისტოს გამოქვეყნდა ვიდეო,[68]

[65] Amnesty International, statement, Georgia: Jailing of teenage protester raises fair trial concerns, 11.07.2025, განახლებულია: 15.09.2025.
[66] Amnesty International, statement, Georgia: Impunity prevails as Mzia Amaghlobeli to be jailed after ill treatment and an unfair trial, განახლებულია: 15.09.2025.
[67] Amnesty International, statement Georgia: Actor protester jailed, denied justice: Andro Chichinadze, განახლებულია: 15.09.2025.
[68] იხ. ამნესტი ინთერნეიშენალის ინსტაგრამ-გვერდი, განახლებულია: 15.09.2025.

რომლის აღწერაშიც ანდრო ჭიჭინაძის შესახებ ვკითხულობთ: „ის ავტორიტარიზმს დაუპირისპირდა, ახლა ის გისოსებს მიღმაა“.

- 3 სექტემბრის განცხადება - **2 და 3 სექტემბერს 20 ადამიანის მიმართ გამოტანილი განაჩენების შესახებ** ამნესთი ინთერნეიშენალის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის დირექტორის მოადგილის განცხადების თანახმად, „ანდრო ჭიჭინაძის, საბა სხვიტარიძის და სხვების პროცესები აჩვენებს, რომ მთავრობა სისხლის სამართლის ინსტრუმენტალიზებას ახდენს, რათა დასაჯოს პროტესტის მონაწილეები და გააჩუმოს მოწინააღმდეგეები“. განცხადებაში ასევე ყურადღება გამახვილებულია არასათანადო მოპყრობის ბრალდებების გამოუძიებლობაზე. განცხადების მიხედვით, **უნდა გაუქმდეს ეს უსამართლო მსჯავრდებები** და საბა სხვიტარიძე, ანდრო ჭიჭინაძე და სხვები გათავისუფლდნენ, ან მათ უნდა მიეცეთ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

## 2.7. კლუნების ფონდი სამართლიანობისთვის

- ფონდის მიერ 6 აგვისტოს გამოქვეყნებულ გამოხმაურებაში[69] აღნიშნულია, რომ **მზია ამაღლობელის** მიმართ გამოტანილი განაჩენი ტოვებს საგანგაშო კითხვებს საქართველოში გამოხატვის თავისუფლების და კანონის უზენაესობის მომავალთან დაკავშირებით. მასში ასევე ნათქვამია, რომ ეს განაჩენი საქართველოს იმ ქვეყნების გვერდით აყენებს, რომლებიც სისხლის სამართალს ჟურნალისტების გასაჩუმებლად და გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად იყენებენ.

## 2.8. სხვა გამოხმაურებები

- ადამიანის უფლებების დამცველთა ობსერვატორიამ[70] 2 სექტემბერს გამოაქვეყნა განცხადება,[71] რომლითაც მოითხოვა **ნინო დათაშვილის** და ყველა თვითნებურად დაკავებული უფლებადამცველის უპირობო და მყისიერი გათავისუფლება. **ობსერვატორია ნინო დათაშვილის პატიმრობას „თვითნებურ დაკავებად“ აფასებს**, გმობს პატიმრობაში ჯანდაცვაზე მისაწვდომობის ნაკლებობას და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული იარლიყით მისი სტიგმატიზაციის მცდელობას.
- **მზია ამაღლობელის** განაჩენთან დაკავშირებით ასევე შეშფოთება გამოთქვეს, მათ შორის, შემდეგმა უფლებადამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა: პრესის საერთაშორისო ინსტიტუტი (IPI),[72] პრესისა და მედიის თავისუფლების ევროპული ცენტრი (ECPMF),[73] ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია (IFJ),[74] მე-19 მუხლი (ARTICLE 19),[75] პენ ამერიკა (PEN America).[76] ისინი თავიანთ განცხადებებში განაჩენს **მედიისა და გამოხატვის თავისუფლებებზე თავდასხმად აფასებენ**.

---

[69] იხ. კლუნების ფონდის ინსტაგრამ-გვერდი, განახლებულია: 15.09.2025.

[70] ადამიანის უფლებადამცველთა ობსერვატორია (The Observatory for the Protection of Human Rights Defenders) არის სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო ორგანიზაციების - წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციის (OMCT) და ადამიანის უფლებების საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) პარტნიორობა. იხ. OMCT, Georgia: Arbitrary detention and judicial harassment of pro-democracy activist Nino Datashvili, 02.09.2025, განახლებულია: 15.09.2025.

[71] OMCT, Georgia: Arbitrary detention and judicial harassment of pro-democracy activist Nino Datashvili, 02.09.2025, განახლებულია: 15.09.2025.

[72] იხ. IPI-ის გამოხმაურება, განახლებულია: 15.09.2025.

[73] იხ. ECPMF-ის გამოხმაურება, განახლებულია: 15.09.2025.

[74] იხ. IFJ-ის გამოხმაურება, განახლებულია: 15.09.2025.

[75] იხ. ARTICLE 19-ის გამოხმაურება, განახლებულია: 15.09.2025.

[76] იხ. Pen America-ს გამოხმაურება, განახლებულია: 15.09.2025.

# თავი 3 – საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები

## 3.1. წარდგენილი ბრალდების შესახებ ინფორმაცია

საიას სისხლის სამართლის პროცესებზე დაკვირვება მოიცავს 69 პირის სისხლის სამართლის საქმეს. აქტივისტებს ბრალი უმეტესად ედებათ ისეთი დანაშაულებისთვის, როგორებიცაა:

- **ჯგუფური ძალადობის ორგანიზება ან მასში მონაწილეობა** (სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები);
- **აფეთქების მომზადება** (სსკ-ის 18, 229-ე მუხლი);
- **პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა** (სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილი);
- **ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საშიში საშუალებით** (სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტი);
- **ნივთის დაზიანება ან განადგურება** (სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილი);
- **ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით** (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი);
- **ძალადობა ჯგუფურად ორი ან მეტი პირის მიმართ** (სსკ-ის 126.1. პრიმა მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები);
- **ადამიანის დევნა პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით** (სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტი);
- **სტრატეგიული და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ბლოკირების მცდელობა, რასაც შეეძლო, შეეფერხებინა ამ ობიექტის ნორმალური მუშაობა, ჩადენილი ჯგუფურად** (სსკ-ის 19, 222-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტი);
- **საჯარო მოსამსახურეზე თავდასხმა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირზე თავდასხმა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით)** (სსკ-ის 353 სეკუნდა 3);
- **ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი ჯგუფურად** (126.1. პრიმა მუხლის „ბ" ქვეპუნქტი).[77]

## 3.2. პატიმრობის გამოყენების პრაქტიკა ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე

აქციების კონტექსტში დაკავებული პირების საქმეებზე სასამართლომ ყველა ჯერზე დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების შესახებ. იმავდროულად, სასამართლო მხედველობაში არ იღებდა ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, პიროვნება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა.[78] დაკავებულთა შორის ასევე იყვნენ 21 წლამდე პირები, სტუდენტები და ადამიანები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. ზოგიერთი მათგანი იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ან მარტო უვლიდა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ოჯახის წევრს. უმრავლესობა არ იყო

---

[77] სრული მონაცემებისთვის იხ. დანართი 2.

[78] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

წარსულში ნასამართლევი ან/და არ ჰქონდა ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ბრალდების მხარის დასაბუთება პატიმრობის გამოყენების შესახებ ეყრდნობოდა განზოგადებულ რისკებს, როგორებიცაა: მიმალვის საფრთხე, მტკიცებულებების განადგურება ან ახალი დანაშაულის ჩადენა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პატიმრობა არის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება და გულისხმობს, სასამართლოს განჩინებით, განსაზღვრული ვადით, ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენებით იზღუდება ბრალდებულის სხვა უფლებებიც, რომელთა რეალიზაცია, ობიექტურად, შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის ადგილზე, მაგალითად: მიმოსვლის თავისუფლება, დასაქმების უფლება, კავშირი გარე სამყაროსთან და სხვა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენებისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ თუ სხვა პირობებს. მოსამართლე პატიმრობის შეფარდებისას არ არის შეზღუდული რომელიმე დანაშაულის კატეგორიით. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, სასამართლომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იყოს აცილებული:

- ბრალდებულის მიმალვა და მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეშლა;
- ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვების ხელშეშლა;
- ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

პრაქტიკაში, პატიმრობასთან მიმართებით იკვეთება ორი პრობლემური საკითხი: მისი გამოყენების მაღალი მაჩვენებელი და დაუსაბუთებელი პატიმრობის შემთხვევები. საქართველოს საერთო სასამართლოების ოფიციალური მონაცემების დინამიკა მოწმობს, რომ ბოლო წლების განმავლობაში დიდია პატიმრობის შეფარდების რაოდენობა.[79] ასევე, უზენაესი სასამართლოს ბოლო ხელმისაწვდომი სტატისტიკის მიხედვით, პატიმრობა 2021 წელს გამოყენებული იყო შემთხვევათა 42%-ში, 2022 წელს - 39%-ში, ხოლო 2023 წელს - 38%-ში.[80]

ამასთანავე, საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგები, წლებია, ავლენს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ყოველთვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში არ ხდება. ყოველწლიურად იკვეთება დაუსაბუთებელი პატიმრობის ფაქტებიც. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენება მაშინ არის დაუსაბუთებელი, როდესაც გადაწყვეტილება არ ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, აბსტრაქტულად არის შეფასებული საფრთხეები და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებითაც შეიძლება შესაბამისი მიზნების მიღწევა. დაუშვებელია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ პირმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. საია მუდმივად გასცემდა რეკომენდაციებს სასამართლოს მხრიდან მეტად ჰუმანური მიდგომების და იმგვარი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რომელიც ნაკლებად ერევა ბრალდებულის

[79] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, განახლებულია: 15.09.2025.

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, იხ. https://www.supremecourt.ge/supreme_court/public/uploads/files/1/statistikuri%20monacemebi%202022/7-arkv%2012.pdf;;https://www.supremecourt.ge/supreme_court/public/uploads/files/1/statistics/statistikuri%20monacemebi%202023/7-arkv23.pdf, განახლებულია: 15.09.2025.

თავისუფლების უფლებაში, იმ დათქმით, რომ მიღწეული იყოს აღკვეთის ღონისძიების მიზნებიც.[81]

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფოსთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მძიმე ტვირთია. 2024 წლის მდგომარეობით, ერთი პატიმრის შენახვის წლიური ხარჯი 21604 ლარია, რაც თვეში, დაახლოებით, 1800 ლარს უდრის.[82] საიამ პატიმართა საერთო რაოდენობის და მათი შენახვის ხარჯების შესახებ 2025 წლის მონაცემების მისაღებად, დამატებით, მიმართა იუსტიციის სამინისტროს  სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს,[83] თუმცა საიას ამგვარი ინფორმაცია არ მიეწოდა, რაც ავლენს ამ უწყების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით არსებულ გამოწვევებსაც.

ხაზგასასმელია, რომ აღკვეთის ღონისძიება მიმართული არ უნდა იყოს ბრალდებულის დასჯისკენ. სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იმსჯელოს ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ვერცერთი სხვა სახე ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას, საგამონაკლისოდ გამოიყენოს პატიმრობა.

თავისუფლების უფლება გულისხმობს, რომ პატიმრობა - თავისუფლების მაქსიმალური შეზღუდვა - ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც უკიდურესი ზომა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, „პირის დაკავება იმდენად მკაცრი ღონისძიებაა, რომ მისი გამართლება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სხვა, ნაკლებად მკაცრი ღონისძიება მიიჩნევა არასაკმარისად ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად".[84] ამდენად, პატიმრობა არ უნდა იყოს საწყისი წერტილი აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არამედ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა სხვა ღონისძიება, ერთი და მეტი დასაშვები საფუძვლის მისაღწევად, ჩაითვლება მიზანშეუწონლად.[85]

გარკვეული საფრთხეების განეიტრალების მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებითი ვალდებულებების გამოყენებასაც.[86] ეს ნიშნავს, რომ, აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ბრალდებულს შეიძლება აგრეთვე შეეფარდოს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობის ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციასა ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულება გარკვეულ საათებში ან უამისოდ; კონკრეტული ადგილის დაუტოვებლობის ვალდებულება ან მასში შეღწევის აკრძალვა; სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების

[81] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №16 ანგარიში, თბილისი, 2022; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №17 ანგარიში, თბილისი, 2024; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №18 ანგარიში, თბილისი, 2024, განახლებულია: 15.09.2025.
[82] საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", საქართველოს მთავრობა, განმარტებითი ბარათი 6. განახლებულია: 15.09.2025.
[83] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2025 წლის 28 ივლისის წერილი # გ-04/49-25.
[84] ამბრუშკევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (AMBRUSZKIEWICZ v. POLAND), 38797/03, 4 may 2006, par. 31.
[85] HRC-ის კომენტარი 35, პარ. 38; CCPR, SMANTSER v. BELARUS, 1178/2003, 23 October 2008, par. 10.3.
[86] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.

ამრიგად, დამატებითი ვალდებულებების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოსამართლეს შეუძლია, გამოიყენოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ღონისძიება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული დამატებითი ღონისძიებების ნუსხაში. მოსამართლეს უფლება აქვს, დამატებითი ღონისძიებები გამოიყენოს მხოლოდ აღკვეთის ძირითად ღონისძიებასთან ერთად და არა – მისგან დამოუკიდებლად. სწორედ ამიტომ, ამ ღონისძიებებს აქვს დამატებითი ფუნქცია და მათი მიზანია, აღკვეთის ძირითად ღონისძიებებთან ერთად, საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანა.[87]

ზემოთ ხსენებული დამატებითი ვალდებულებები კიდევ უფრო მეტად ამყარებს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების ეფექტს და პატიმრობის კარგი ალტერნატივაა, თუმცა, სამწუხაროდ, აქტივისტების წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში ისინი პრაქტიკულად არ გვხვდება.

ხაზგასასმელია, რომ აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეებზე სასამართლო ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებდა პროკურატურის მიერ მოთხოვნილ აღკვეთის ღონისძიებას. ასევე ყველა ჯერზე დაკმაყოფილდა პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. განსხვავებული იყო პრაქტიკა ადვოკატთა შუამდგომლობებთან მიმართებით. მხოლოდ ერთხელ შეიცვალა აღკვეთის ღონისძიება ადვოკატის შუამდგომლობით. ეს შემთხვევა უკავშირდებოდა ბათუმის დეკანისა და სტუდენტების საქმეს, რომელზეც პროკურორი დაეთანხმა ადვოკატის შუამდგომლობას.

## 3.3. არასათანადო მოპყრობის შემთხვევები

დაკავებული დემონსტრანტების 19% (13 პირი) პროცესზე საუბრობდა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, რომლებიც, თავისი არსით, უთანაბრდება საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებებს (მათ შორის, გარემოებების მიხედვით, თითოეული შეიძლება გაუთანაბრდეს სსკ-ის $144^1$-ე, $144^2$-ე, $144^3$-ე მუხლებით გათვალისწინებულ - წამებას, წამების მუქარას, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას).

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითეს: საბა სხვიტარიძემ, რევაზ კიკნაძემ, ნიკოლოზ კაციამ, ანატოლი გიგაურმა, დავით ხომერიკმა, დავით ლომიძემ, თემურ ზასოხაშვილმა, არჩილ მუსელიანცმა, ანასტასია ზინოვკინამ, არტემ გრიბულმა, ალეკო ელისაშვილმა, თევდორე აბრამოვმა, მზია ამაღლობელმა.[88]

i. **საბა სხვიტარიძემ** დეტალურად აღწერა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოცდილება. მისი განმარტებით, ის პოლიციამ ზესტაფონის გზაზე დააკავა, მისთვის არ განუმარტავთ დაკავების საფუძველი, არც ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა მისცეს. ამის შემდეგ, გორთან გადასცეს გაურკვეველ ოპერატიულ ჯგუფს და გადაიყვანეს დიღომში მდებარე პოლიციის სამმართველოში. დიღომში, სამმართველოს შენობაში, მეხუთე სართულზე, მას ოთხი ნიღბიანი ადამიანი

[87] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, 2020, 48. განახლებულია:15.09.2025.
[88] მზია ამაღლობელის საქმეს საია არ ამონიტორინგებდა, არამედ უწევდა/უწევს სამართლებრივ წარმომადგენლობას.

ფიზიკურად გაუსწორდა და სცემა. შემდგომ, ამავე შენობის მერვე სართულზე საპატრულო პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა პირმა, რომელსაც ნიღაბი ეკეთა, სხვა პირებთან ერთად კვლავ იძალადა მასზე.

ii. **რევაზ კიკნაძემ** განაცხადა, რომ მას ფსიქოლოგიური ზეწოლისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ქვეშ აიძულებდნენ, ეღიარებინა დანაშაული და დაედანაშაულებინა სხვები, რაც გამოიწვევდა მის მიმართ სისტემის მხრიდან ლოიალურ დამოკიდებულებას. იგი გატაცებული ჰყავდათ ლისის ტბის მიმდებარედ და ემუქრებოდნენ ცოცხლად დამარხვით. კიკნაძემ ასევე აღნიშნა, რომ ორთაჭალაში გადაყვანის შემდეგ კრიმპოლის შენობაში ერთ-ერთი პირი დაემუქრა - დაბლა ჩავიყვანოთ და „კლიზმაზე“ დავსვათ ან შამპანურის ბოთლზეო. მეორემ უპასუხა, შეიძლება გაეპაროს, ბინძური საქმეა, ჰოდა ხელთათმანები გავიკეთოთო. ბრალდებულების მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია, სხვა გამოცდილებებთან ერთად, განამტკიცებს იმ ფაქტს, რომ არასათანადო მოპყრობას სისტემური და ფართომასშტაბიანი ხასიათი აქვს.

iii. **ნიკოლოზ კაციამ** აღნიშნა, რომ დაკავებისას მას ექცეოდნენ დამცინავად და შეურაცხმყოფლად, უწოდებდნენ „რიჟიკას“, ბილწსიტყვაობდნენ მისი მისამართით და ეუბნებოდნენ, რომ, რასაც ეტყოდნენ, ის უნდა დაედასტურებინა. ასევე, საჯარო წყაროებით გავრცელდა ინფორმაცია,[89] რომ ნიკოლოზ კაციას პენიტენციურ დაწესებულებაში არ უზრუნველყოფდნენ საკვებით, ხოლო მის პირად საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებით სხვა მსჯავრდადებულები სარგებლობდნენ. ამის თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმაც გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ნიკოლოზ კაციამ სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას მიუთითა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი უფლებების დარღვევის ფაქტებზე. 2025 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე ნიკოლოზ კაციამ აღნიშნა, რომ საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები პროცესამდე მას „ბუქნებს“ აკეთებინებდნენ.

iv. **ანატოლი გიგაურის** საქმეზე დაცვის მხარემ პროცესზე აღნიშნა, რომ გიგაურს თავად პოლიციელმა მიაყენა ფიზიკური დაზიანება სახის არეში მუშტის დარტყმით და ეს ყველაფერი დასტურდებოდა ვიდეომტკიცებულებით.

v. **დავით ხომერიკი** უთითებდა სექსუალური ძალადობის მუქარის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის, ასევე გაშიშვლების ფაქტებზე.

vi. **დავით ლომიძეს** სცემეს დაკავებისას. მას ჰქონდა ხერხემლის პრობლემები, ცემის შედეგად გაურთულდა მდგომარეობა და დასჭირდა ოპერაცია.

vii. **თემურ ზასოხაშვილის** ინფორმაციით, მასაც გაუსწორდნენ ფიზიკურად დაკავების დროს.

viii. **არჩილ მუსელიანცის** თქმით, მას ემუქრებოდნენ და სთავაზობდნენ თანამშრომლობას. ეუბნებოდნენ, რომ ხელი დაედო პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის.

ix. **ანასტასია ზინოვკინამ** ასევე განმარტა, რომ მის მიმართ განხორციელდა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, ძალადობა, სექსუალური ძალადობის მუქარა. ერთ-ერთ პოლიციელს ხელი თავის სასქესო ორგანოზე ედო და ემუქრებოდა, თუ გაინძრეოდა, ამ ადგილით დასჯიდა. ის მოწმის და ვიდეოგადაღების გარეშე დააკავეს. ბრალდებულმა მიუთითა, რომ, შეეძლო იმ პოლიციელის ამოცნობა, რომელმაც მას ტელეფონი წაართვა. ამავე პოლიციელმა ჩაუდო ნარკოტიკი ქურთუკის ჯიბეში. ბრალდებული იხსენებდა, რომ „პოლიციელი“ ემუქრებოდა, თუ გააგრძელებდა ქურთუკის ყურებას, მას „იხმარდა“. მას შემდეგ, რაც დაკავებულის ქურთუკში ნარკოტიკული საშუალება განათავსეს, ჩაცმა აიძულეს. მხოლოდ ამ „ოპერაციის“ შემდეგ დაიწყო ოფიციალური ჩხრეკა. ბრალდებული ცდილობდა ყველაფრის დანახვას, თუმცა, ემუქრებოდნენ, რომ მასზე იძალადებდნენ, თუ აქეთ-იქით ყურებას გააგრძელებდა.

[89] „პუბლიკას“ სტატია, „ნიკა კაციამ მიუთითა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი უფლებების დარღვევის ფაქტებზე“, 24.01.2025, განახლებულია: 15.09.2025.

x. დაკავებისას აგრესიულ მოპყრობასა და სექსუალური ძალადობის მუქარაზე მიუთითებდა **არტემ გრიბულიც.**

xi. **ალეკო ელისაშვილმა** პირველი წარდგენის სხდომაზე განმარტა, რომ დაკავებისას მანქანაში ჩასვეს და სცემეს.

xii. **თევდორე აბრამოვმა** აღნიშნა, რომ ის პოლიციის სამმართველოში გადაყვანის შემდგომ გააშიშვლეს და ბუქნები აკეთებინეს. დასცინოდნენ საყურის და ტატუს გამო, შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეუბნებოდნენ აქციებთან კავშირისთვის.

xiii. როგორც ცნობილია, საია წარმოადგენს **მზია ამაღლობელის** ინტერესებს. მის უკანონო და ძალისმიერ დაკავებას თან ახლდა ფიზიკური ძალადობა და არაერთი დარღვევა პოლიციის მხრიდან. დაკავების შემდგომ, ბათუმის პოლიციის უფროსმა ირაკლი დგებუაძემ მზიას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, უგულებელყო მისი საჭიროებები და ხელი შეუშალა ადვოკატებთან მის კომუნიკაციას. მიუხედავად არაერთი მიმართვისა, ამ დრომდე მას დაზარალებულის სტატუსი არ მიუღია, რაც ფუნდამენტურად ზღუდავს მისი უფლებების დაცვას.

საერთო ჯამში, ზემოხსენებულ საქმეებზე გამოძიება ხასიათდება არაეფექტიანობით. ამასთანავე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმებით „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ, დემონსტრაციულად გამოხატა, რომ არ აპირებს საპოლიციო ძალადობის და არასათანადო მოპყრობის ეფექტიან გამოძიებას, ევროკავშირთან ასოცირების პროცესში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებას.[90]

აღსანიშნავია, რომ ეფექტიანი გამოძიება მოითხოვს ხუთ კრიტერიუმს: (1) გამოძიების დამოუკიდებლობა, (2) მისი ადეკვატურობა, (3) გამოძიების სწრაფი წარმოება, (4) საჯაროობა, (5) მასში დაზარალებულის ჩართულობა. დღეს არსებული მოცემულობით, დასაბუთებულია ეჭვები ამ კრიტერიუმების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, საგამოძიებო ორგანომ უნდა უპასუხოს ამ შეკითხვებს და მიაწოდოს საზოგადოებას სწორი ინფორმაცია, რატომ არ აქვთ აქამდე დაზარალებულის სტატუსი პატიმრების უმეტესობას (საიას ინფორმაციით, 13-იდან 12 პირს[91]), რომლებიც არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებენ და როგორია გამოძიების პროგრესი.

გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ აქციების დროს აქტივისტების და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე არცერთი პირის მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა. საქართველოს პროკურატურის ანგარიშში[92] ასახული ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემებიც ცხადყოფს საქართველოს პროკურატურის დამოკიდებულებას მსგავსი ტიპის საქმეებზე ეფექტიანი საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების კუთხით.

- 2024 წელს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო 413 სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა კი განხორციელდა მხოლოდ 105 პირის მიმართ, რომელთაგან: 24 იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, 2 - თავდაცვის სამინისტროს, ხოლო 4 - პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომელი.[93]

---

[90] საიას განცხადება, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაუქმება ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ წამებისა და საპოლიციო ძალადობის გამოძიებას ფორმალურადაც კი არ აპირებს“, 23.05.2025. განახლებულია: 15.09.2025.

[91] დაზარალებულის სტატუსი მხოლოდ საბა სხვიტარიძეს აქვს.

[92] საქართველოს პროკურატურა, 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, 61. განახლებულია: 15.09.2025.

[93] იქვე.

არაერთმა ბრალდებულმა ისაუბრა პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობასა და მოპყრობაზე. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბრალდებული ნიკოლოზ კაცია მიუთითებდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მას არ უზრუნველყოფდნენ საკვებით, ხოლო მის პირად საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებით სარგებლობდნენ სხვა მსჯავრდებულები. ეს დადასტურდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციითაც,[94] რომლის თანახმად, ნიკოლოზ კაციამ სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას მიუთითა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

ადგილობრივი კანონმდებლობით და საერთაშორისო აქტებით, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს, როგორც ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სათანადო კვება, აგრეთვე მათი სათანადო საცხოვრებელი პირობები. დაუშვებელია, მათი დასჯის მიზნით, არათუ საკვების მიცემაზე უარის თქმა, არამედ კალორიულობის შემცირებაც კი. აღნიშნული, შესაძლოა, შეიცავდეს წამების/არაადამიანური მოპყრობის ნიშნებს.

ამასთანავე, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია, თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოს დანაშაულის გამოვლენა, აღკვეთა და პრევენცია, აგრეთვე, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრანსპორტირება და განთავსება იმგვარად, რომ ისინი არ დაექვემდებარონ სხვა ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთაგან სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. პენიტენციური სამსახური ვალდებულია, თავიდან აიცილოს ძალადობის ან სხვა ტიპის რეპრესიის მაპროვოცირებელი გარემოებები. საიამ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მოუწოდა, ნიკოლოზ კაციას მიმართ გამოყენებული პატიმრობა აღესრულებინა საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და პენიტენციური კოდექსით გარანტირებული უფლებების დაცვით. ასევე, ორგანიზაციამ იმ დროისთვის არსებულ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ნიკოლოზ კაციას არაადამიანურ საპატიმრო პირობებზე რეაგირებისა და ეფექტიანი გამოძიებისკენ მოუწოდა.[95]

რამდენიმე ბრალდებული პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ სხვა პრობლემებზე მიუთითებდა. 2025 წლის 19 ივლისს საჯაროდ გავრცელდა გიორგი ახობაძის წერილი: *„დიდი ხანია, ვითხოვთ ვენტილატორის შემოტანას მაღაზიაში, წარმოუდგენელი სიცხეა, ვიხრჩობით ფაქტიურად ამ კოლოფებში, შეუძლებელია ღამე ძილი. ორი კვირის განმავლობაში რანაირად შეიძლება ვენტილატორი ვერ მიეწოდებოდეს მაღაზიას“.*[96]

2025 წლის 11 აგვისტოს ინსაფ ალიევის ადვოკატმა განაცხადა, რომ ბრალდებულმა დაიწყო შიმშილობა. ადვოკატი აღნიშნავდა, რომ საკანში იყო ტარაკნები, რის შემდეგაც ალიევი და მისი თანამესაკნეები გადაიყვანეს სხვა საკანში, სადაც, ადვოკატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით: *„საკანში არ იყო წყალი და კანალიზაცია იყო გაჭედილი. მათ არ შეეძლოთ ხელ-პირის დაბანა და ჭურჭლის რეცხვა, რის გამოც, ვერ იღებდნენ საკვებს და, ფაქტობრივად, შეეზღუდათ წვდომა კვებაზე“.*[97] გარდა ამისა, ადვოკატის ინფორმაციით: *„ინსაფ ალიევს აქვს ჯანმრთელობის პრობლემები, საჭიროებს მედიკამენტებს და ნემსს ორ დღეში ერთხელ. მიუხედავად დაპირებისა, რომ მედიკამენტებს მიუტანდნენ, ამ დრომდე მას კვლავ შეზღუდული აქვს წვდომა მისთვის აუცილებელ სამკურნალო საშუალებებზე“.*

[94] „პუბლიკას“ სტატია, „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება - ნიკა კაციამ მიუთითა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი უფლებების დარღვევის ფაქტებზე“, 24.01.2025. განახლებულია: 15.08.2025.
[95] საიას განცხადება, „საია ნიკოლოზ კაციას არასათანადო საპატიმრო პირობებს ეხმიანება“, 24.01.2025. განახლებულია: 15.09.2025.
[96] „რადიო თავისუფლების“ სტატია, „დიდი ხანია ვითხოვთ ვენტილატორის შემოტანას მაღაზიაში, წარმოუდგენელი სიცხეა, ვიხრჩობით“ - გიორგი ახობაძე, 19.07.2025. განახლებულია: 15.09.2025.
[97] „რადიო თავისუფლების“ სტატია, „ჯგუფურ ძალადობაში ბრალდებულმა ინსაფ ალიევმა შიმშილობა დაიწყო - ადვოკატი“, 11.08.2025. განახლებულია: 15.09.2025.

პენიტენციურ დაწესებულებაში დროული სამედიცინო დახმარების პრობლემები გამოიკვეთა ნინო დათაშვილის[98] შემთხვევაშიც. საკუთარი ჯანმრთელობის გამოწვევებზე საუბრობდა და პენიტენციური დაწესებულებისგან შესაბამისი მხარდაჭერის, მკურნალობის მიღებას მოითხოვდა ანასტასია ზინოვკინაც.[99]

სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვის ეტაპზე არაერთმა ბრალდებულმა გამოაცხადა შიმშილობა.[100]

საყურადღებოა, რომ პატიმრების მიერ შიმშილობის დაწყება არის პროტესტის უკიდურესი ფორმა, რომელიც მიმართულია როგორც მათ მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების არსებითი გარემოებების, ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის/პირობების წინააღმდეგ. ამგვარი ქმედება გამოხატავს პატიმართა უკმაყოფილების მაღალი ინტენსივობის დონეს და ამცნობს სახელმწიფოს შესაძლო სისტემურ ხარვეზებზე. ასეთ ვითარებაში აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სწრაფი, პროპორციული და სამართლებრივად დასაბუთებული რეაგირება, მათ შორის, პატიმართა ჯანმრთელობისა და ღირსების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული ვალდებულებების გათვალისწინებით. თუმცა, სამწუხაროდ, უმეტესწილად, სახელმწიფოს ამგვარ ფაქტებზე რეაგირების ზომები არ მიუღია.

## 3.4. საჯაროობის პრინციპის შეზღუდვა

საჯარო სასამართლო განხილვა არის სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო პროცესების ღიაობასა და მათზე საზოგადოებრივ კონტროლს.

პირველ ეტაპზე, საჯაროობა იზღუდებოდა ინდივიდუალური მოსამართლეების თვითნებობით[101] ან/და პროცესების მცირე დარბაზში ჩატარებით.[102] შემდგომ კი საერთოდ შეიზღუდა მედიების მხრიდან პროცესების გაშუქება, გაუარესდა კანონმდებლობა სასამართლოს გამჭვირვალობის თვალსაზრისით.

მაგალითად, აქციების კონტექსტში დაკავებული პირების: ანდრო ჭიჭინაძის, ონისე ცხადაძის, გურამ მირცხულავას, ჯანო არჩაიას, ლუკა ჯაბუას, რუსლან სივაკოვის, რევაზ კიკნაძის, გიორგი ტერაშვილის, ვალერი თეთრაშვილის, სერგეი კუხარჩუკის და ირაკლი ქერაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა მოსამართლე ირაკლი შვანგირაძემ 2025 წლის 5 მარტს დახურა. ამ გადაწყვეტილებამ (რომელიც დასაბუთდა დარბაზში არსებული სიტუაციით, კონკრეტულად იმით, რომ დარბაზში მყოფი პირების ნაწილი ბრალდებულთა სიტყვის შემდეგ მცირედი ტაშით გამოხატავდა ემოციას) გამოიწვია იქ დამსწრე საზოგადოების ყველა

98 „რადიო თავისუფლების“ სტატია, „უჭირს ჯდომა, დგომა, წოლა - დაკავებული მასწავლებლის ადვოკატები მოითხოვენ, რომ ის კლინიკაში გადაიყვანონ გამოკვლევებისთვის“, 16.07.2025, განახლებულია: 15.09.2025.

99 „პუბლიკის“ სტატია, „აქციების დროს ნარკოდანაშაულში ბრალდებული ანასტასია ზინოვკინა საკუთარი ჯანმრთელობის გამოწვევებზე საუბრობს და პენიტენციური დაწესებულებისგან შესაბამისი მხარდაჭერისა და მკურნალობის მიღებას მოითხოვს“, 13.08.2025, განახლებულია: 15.09.2025.

100 „ნეტგაზეთის“ სტატია, „16 კილო აქვს დაკლებული" - ორმა პატიმარმა შიმშილობა შეწყვიტა, 27.01.2025, „ნეტგაზეთის“ სტატია, „არტემ გრიბულმა და ანტონ ჩეჩინმა მშრალი შიმშილობა შეწყვიტეს“, 25.07.2025, „ტაბულას“ სტატია, „მზია ამაღლობელი: ვშიმშილობ. სიცოცხლეზე ღირებული თავისუფლებაა“, 20.01.2025, განახლებულია: 15.09.2025.

101 საიას განცხადება, „მოსამართლე ირაკლი შვანგირაძე დემონსტრანტების საქმის განხილვისას სადამკვირვებლო სტატუსის მქონე პირებს საქმიანობას უზღუდავს“, 25.03.2025. განახლებულია: 15.09.2025.

102 საიას განცხადება, „საიას შეფასება აქციების კონტექსტში დაკავებული 11 პირის საქმეზე: პატიმრობა კვლავ დაუსაბუთებლად რჩება ძალაში“, 11.01.2025. განახლებულია: 15.09.2025.

წარმომადგენლის, მათ შორის მედიასაშუალებების, დარბაზიდან უხეში ფორმებით გაძევება (გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა, რომელიც არ უზრუნველყოფდა პროცესის პირდაპირ ტრანსლაციას).

მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის დარბაზში დატოვება ვერ შეფასდება, როგორც სასამართლო პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაუწყებელი პროცესს პირდაპირ ეთერში არ გადასცემდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს წესრიგი სხდომის დარბაზში, საჯაროობის შეზღუდვის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული. მოცემულ შემთხვევაში, სხდომის ნაწილობრივ დახურვა და დარბაზიდან დამოუკიდებელი მედიის, საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის, საიას სადამკვირვებლო მისიის გამოძევება, ძირს უთხრის სასამართლო პროცესის გამჭვირვალობას.

საია მოუწოდებდა სასამართლოს პროცედურული სტანდარტების დაცვისა და საჯარო სხდომების რეალურად ხელმისაწვდომობისკენ, განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებიც ბრალდებული დემონსტრანტების სისხლისსამართლებრივ დევნას უკავშირდება და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით ხასიათდება.[103]

მოსამართლე ირაკლი შვანგირაძემ მომდევნო, 2025 წლის 25 მარტის სხდომაზეც საერთოდ არ განიხილა დაცვის მხარის შუამდგომლობა პროცესის საჯაროდ წარმართვის თაობაზე, ასევე, არ დააკმაყოფილა მოთხოვნა სადამკვირვებლო სტატუსის მქონე პირების, მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მონიტორის და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის დასწრების შესახებ.

მოსამართლე ირაკლი შვანგირაძის გადაწყვეტილებით, უფლებადაცვით ორგანიზაციას დაუსაბუთებლად შეეზღუდა პროცესზე დაკვირვების უფლება. ეს კი კონკრეტული მოსამართლის მიერ სასამართლოს დისკრეციის თვითნებური და საჯაროობის პრინციპის საწინააღმდეგო გამოყენებაა. ამასთანავე, გარდა იმისა, რომ სხდომა დაუსაბუთებლად დაიხურა, გამოვლინდა კომპეტენციის პრობლემაც - სახალხო დამცველის რწმუნებულები, რომლებიც, მრავალი წელია, დახურულ სასამართლო სხდომებსაც ესწრებიან, პროცესზე არ შეუშვეს.

მოსამართლის ამგვარი გადაწყვეტილება დასაბუთებულად ბადებს განცდას, რომ მას არ შეუძლია საჯარო სხდომის წარმართვა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფით. ამასთანავე, შესაძლოა, მის მიერ სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას მიღებული გადაწყვეტილებები იმდენადაა მოკლებული სამართლებრივ დასაბუთებას, რომ მოსამართლე თავს არიდებს იმ ტიპის საჯაროობას, რომლის ფარგლებშიც, დამოუკიდებელ, სამართლებრივი საკითხების კვალიფიციურ ანალიზზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს მათი შეფასების შესაძლებლობა ექნებათ .

კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასამართლო პროცესებზე დაკვირვება საიას, როგორც უფლებადაცვითი ორგანიზაციის პერსპექტივიდან. ეს უზრუნველყოფს იმის საზოგადოებრივ მონიტორინგს, თუ რამდენად შეესაბამება სასამართლოს საქმიანობა სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებს. პროცესების დახურვა, განსაკუთრებით, სათანადო დასაბუთების გარეშე, აუფასურებს საჯაროობის პრინციპს და აჩენს

[103] საიას განცხადება, „საია ეხმიანება სასამართლო სხდომის დაუსაბუთებლად - ნაწილობრივ დახურვას, რის შედეგადაც, უფლებადაცვითი ორგანიზაციის სასამართლო მონიტორინგის განხორციელებას ხელი შეეშალა", 05.03.2025. განახლებულია: 15.09.2025.

მიუკერძოებლობის, სასამართლოზე წვდომის და ბრალდებულის უფლებების დარღვევის რისკს. ეს ასუსტებს სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობას, აწარმოოს სასამართლო სისტემაში არსებული სისტემური ხარვეზების მონიტორინგი. ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებაზე და, შედეგად, მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხზე.[104]

**მნიშვნელოვანია სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება.** დემონსტრანტების წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ ინფორმაცია ყოველთვის არ იყო გამოქვეყნებული სასამართლოს ვებგვერდსა ან/და სასამართლოში ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ მონიტორზე.[105]

**მოგვიანებით, მართლმსაჯულება სრულად დაიხურა მედიისთვის.[106]** დაუშვებელი გახდა: სასამართლოში (სასამართლოს შენობაში, სასამართლოს სხდომის დარბაზში, სასამართლოს ეზოში) ფოტო, კინო, ვიდეო გადაღება და ტრანსლაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი. ასევე, სასამართლოს დისკრეციის ფარგლებში მოექცა გადაღებული მასალების გავრცელება და შეუძლია, გაავრცელოს ან არ გაავრცელოს ისინი. სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ასევე ტრანსლაცია, შეიძლება დაშვებული იყოს მხოლოდ ყოველ კონკრეტულ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებით. კანონის ამ ნაწილის ამოქმედებიდან პირველსავე დღეს გამოვლინდა მისი აღსრულების პრობლემა, რომელმაც მედიასაშუალებების ფუნქციონირება შეუძლებელი გახადა. არაერთმა მედიასაშუალებამ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კონკრეტული - 11-პირიანი საქმის (აქციების კონტექსტში დაკავებული: ანდრო ჭიჭინაძის, ონისე ცხადაძის, გურამ მირცხულავას, ჯანო არჩაიას, ლუკა ჯაბუას, რუსლან სივაკოვის, რევაზ კიკნაძის, გიორგი ტერაშვილის, ვალერი თეთრაშვილის, სერგეი კუხარჩუკის და ირაკლი ქერაშვილის) სასამართლო სხდომაზე ვიდეო და აუდიო ჩაწერის თაობაზე, თუმცა სხდომის დაწყებამდე მათ საბჭოდან პასუხი არ მიუღიათ. სასამართლო სხდომაზე ადვოკატებმა სხდომის განმხილველ მოსამართლე ნინო გალუსტაშვილსაც სთხოვეს, გამოეცხადებინა შესვენება და კომუნიკაცია დაემყარებინა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან მედიების დაშვების საკითხის დაზუსტების მიზნით, თუმცა მოსამართლემ დაცვის მხარის თხოვნა არ გაითვალისწინა.

ეს ბიუროკრატიული მექანიზმი, ფაქტობრივად, სრულად უზღუდავს მედიას პროცესების გაშუქებას.[107] საგულისხმოა, რომ ზოგიერთი სასამართლო ეტაპის სხდომები (მაგალითად,

---

[104] საიას განცხადება, „მოსამართლე ირაკლი შვანგირაძე დემონსტრანტების საქმის განხილვისას სადამკვირვებლო სტატუსის მქონე პირებს საქმიანობას უზღუდავს", 25.03.2025. განახლებულია: 15.09.2025.

[105] მაგალითად, 19.06.2025 - საიტზე არ იყო გამოქვეყნებული არჩილ მუსელიანცის და გიორგი ახობაძის პროცესები. არჩილ მუსელიანცის პროცესი შეიცვალა 1 საათით, გადმოიწია და საიას წარმომადგენელმა ვერ მოახერხა დასწრება, რადგან სხდომის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ ყოფილა. ამავე დღეს მუსელიანცის პროცესი ჩატარდა მე-11 სხდომის დარბაზში, სადაც დამსწრეები გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, რადგან არ ისმოდა ხმა. ამის შემდეგ მოსამართლემ საერთოდ დახურა პროცესი, მათ შორის, დარბაზიდან გამოაძევა ჟურნალისტები.
25.06.2025 - სასამართლოს ვებგვერდზე არ იყო გამოქვეყნებული გიორგი ახობაძის პროცესი.
01.07.2025 - არჩილ მუსელიანცის პროცესი არ იყო გამოქვეყნებული სასამართლოს ვებგვერდზე.
11.07.2025 - არც ვებგვერდზე და არც სასამართლოში არსებულ მონიტორზე არ იყო გამოქვეყნებული ინფორმაცია ე.წ. რვაპირიან საქმეზე (ნიკოლოზ ჯავახიშვილის, თორნიკე გოშაძის, ირაკლი მიმინოშვილის, ზვიად ცეცხლაძის, ვეფხია კასრაძის, ვასილ კაძელაშვილის, გიორგი გორგაძის და ინსაფ ალიევის საქმე).

[106] საიას განცხადება - „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები სასამართლო სისტემის საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულებას სრულად გამორიცხავს", 27.06.2025, განახლებულია: 15.09.2025.

[107] საიამ მედიასაშუალებებთან პირდაპირი კომუნიკაციით გადაამოწმა, რომ, არაერთმა მათგანმა, მათ შორის, „პუბლიკამ" და „რადიო თავისუფლებამ" სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სხდომასთან დაკავშირებით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაშუქების ნებართვის მისაღებად, თუმცა არანაირი უკუკავშირი არ ყოფილა.

სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები), მცირე საპროცესო ვადების გამო, ხშირად მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე ინიშნება. ასეთ ვითარებაში, მედიებს, ფაქტობრივად, დრო არ დარჩებათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან პასუხის მისაღებად. მედიასაშუალებებისთვის ასევე გაუგებარი იყო, რა ფორმით უნდა მიემართათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის, კონკრეტულად ვის უნდა მიეღო გადაწყვეტილება და რა ვადაში. მედიებმა ამ საკითხებზე ინფორმაცია ვერც საბჭოს კანცელარიასთან კომუნიკაციით მიიღეს. ნათელია, რომ ეს ცვლილებები პირდაპირი განზრახვით მიმართული იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გაშუქების შეზღუდვისკენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი სტრუქტურული პრინციპის, საჯაროობისა და გამჭვირვალობის საწინააღმდეგო გამოვლინებაა. დაუსაბუთებლად დახურული სამართალწარმოება საზოგადოებაში ტოვებს აღქმას, რომ სასამართლოს ინტერესში არ შედის მათი ინფორმირება მართლმსაჯულების ხარისხის შესახებ, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება სასამართლო სისტემის რეპუტაციაზეც.

## 3.5. რუსული კანონის საწინააღმდეგო პროტესტის დროს დაკავებულ პირთა საქმეების განხილვის მიზანმიმართული გაჭიანურება

პროკურატურისა და მართლმსაჯულების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების ეჭვებს ამყარებდა 2024 წლის აპრილი-მაისის მოვლენებისას, რუსული კანონის საპროტესტო აქციების დროს დაკავებული 6 პირის (საბა მეფარიშვილი, ომარ ოკრიბელაშვილი,[108] გიორგი ოკმელაშვილი, დავით კოლდარი, გიორგი კუჭუაშვილი, ფრიდონ ბუბუტეიშვილი) მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების განხილვა.[109] მათთვის შეფარდებული პატიმრობის არაერთხელ გადასინჯვის მიუხედავად, სასამართლომ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, ძალაში დატოვა. რუსული კანონის პროტესტის კიდევ ერთი აქტივისტის, გიორგი შანიძის[3] ბრალდების საქმის განხილვა ამ საქმეებზე ადრე დასრულდა. სასამართლომ იგი ორივე ბრალდებაში დამნაშავედ ცნო. საბოლოოდ, მას სასჯელის სახედ და ზომად 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. განაჩენის გამოტანიდან რამდენიმე დღეში ის პრეზიდენტმა შეიწყალა.[110]

**ხსენებულ საქმეებზე შეინიშნებოდა სასამართლო სხდომების დიდი ინტერვალით გადადების ტენდენცია.** ისინი, უმეტესად, 2 თვეში ერთხელ, პატიმრობის სავალდებულოდ გადასინჯვის აუცილებლობის გამო ინიშნებოდა, რაზეც მუდმივად უკმაყოფილებას გამოხატავდნენ დაცვის მხარის წარმომადგენლები. **სასამართლო დროულად არ ასრულებდა ამ საქმეების განხილვას იმ მოტივით, რომ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს აქტივისტების შეწყალება თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ფარგლებში ვერ მოესწრო ისე, როგორც ეს აქტივისტ გიორგი შანიძის შემთხვევაში მოხდა.**

**საბა მეფარიშვილისა და ომარ ოკრიბელაშვილის საქმეზე,** რომლებსაც ბრალი ჯგუფურად ნივთის დაზიანებასა ან განადგურებაში, კონკრეტულად, 400-ლარიანი რკინის დამცავი ჯებირის დაზიანებაში ედებოდათ, 2024 წლის 23 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე განხილვის მომდევნო თარიღად 11 ნოემბერი განისაზღვრა. თუმცა, სხდომის ჩატარება ვერც 11 ნოემბერს

---

[108] საიას განცხადება, „საიას შეფასება რუსული კანონის საწინააღმდეგო პროტესტის დროს დაკავებული საბა მეფარიშვილისა და ომარ ოკრიბელაშვილის საქმეზე", 25.09.2024. განახლებულია: 15.09.2025.
[109] საიას განცხადება, „რუსული კანონის" საპროტესტო აქციების მონაწილე პირების სისხლის სამართლის საქმეების განხილვას სასამართლო აჭიანურებს", 24.11.2025, განახლებულია: 15.09.2025.
[110] „რადიო თავისუფლების" სტატია „პრეზიდენტმა გიორგი შანიძე შეიწყალა", 20.10.2024, განახლებულია: 15.09.2025.

მოხერხდა სასამართლოს მიზეზით[111] და ის იმავე წლის 22 ნოემბრამდე გადაიდო. 22 ნოემბრის სხდომის შემდგომ სასამართლომ განხილვა 1 თვეზე მეტი დროით გადადო და 25 დეკემბერს ჩანიშნა.

**გიორგი ოკმელაშვილის საქმეზე,[112]** რომელსაც პოლიციელზე თავდასხმას და „მცირე ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შენახვას" ედავებოდნენ, საქმის არსებითი განხილვა 2024 წლის 16 ივლისს დაიწყო. ამავე წლის 3 ოქტომბრის სხდომის შემდეგ მოსამართლემ პროცესი 12 დეკემბრამდე აღარ ჩაატარა. კონკრეტულად, 2024 წლის 15 ოქტომბრის სხდომა პროკურორის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო ისე, რომ შემდგომი სხდომის კონკრეტული თარიღი არ განსაზღვრულა. დაცვის მხარემ სასამართლოს რამდენიმე წერილით[113] მიმართა სხდომის დროულად ჩანიშვნის და გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით. მოგვიანებით, დაცვის მხარეს ეცნობა, რომ სხდომა 12 დეკემბერს ჩაინიშნა. **საგულისხმოა, რომ საქმეზე მხოლოდ 1 მოწმე დაიკითხა, ყველა სხვა მტკიცებულება უდავოდ იყო ცნობილი, ბოლო ეტაპზე მხოლოდ დასკვნითი სიტყვები იყო დარჩენილი და დაცვის მხარე უთითებდა, რომ საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად მხოლოდ 5-10 წუთი დასჭირდებოდა.**

ანალოგიური ვითარება იყო გიორგი კუჭუაშვილისა და დავით კოლდარის საქმეებზეც.[114] სასამართლო სხდომა 2024 წლის 21 ნოემბერს კვლავ გადაიდო, ისე, რომ მომდევნო განხილვის კონკრეტული თარიღი არ განსაზღვრულა. ფრიდონ ბუბუტეიშვილის[115] საქმეზე 14 ნოემბრის შემდგომ სხდომა ერთ თვეზე მეტი ვადით - 26 დეკემბერს გადაინიშნა.

ყოველივე ზემოაღნიშნული აღიქმებოდა საქმის განხილვის გაჭიანურებად და ბრალდებულის სწრაფი მართლმსაჯულებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უხეშ დარღვევად.

ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ თითოეული ბრალდებული ამ პერიოდში პატიმრობაში იმყოფებოდა. **გაურკვეველია, რა მიზეზით უნდა ტოვებდეს სასამართლო ადამიანებს პატიმრობაში, განსაკუთრებით, ისეთ საქმეებზე, რომლებზეც მხარეები შეთანხმდნენ მტკიცებულებათა უდავოდ მიჩნევაზე, გამოსაკვლევი აღარაფერია[116] და, იმავდროულად, განეიტრალებულია მოწმეებზე ზემოქმედების ყოველგვარი საფრთხე, რაზეც ბრალდება პატიმრობის დასაბუთებისას თითქმის ყველა საქმეში აპელირებდა. ამ საქმეებთან მიმართებით საია აღნიშნავდა, რომ სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენება არ იყო დასაბუთებული შესაბამისი სტანდარტით, საფრთხეები აბსტრაქტულად იყო შეფასებული და მიზნების მიღწევა სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებითაც შეიძლებოდა.**

ვერცერთი ზემოხსენებული საქმე პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობის ვადაში ვერ დასრულდა, რამაც კიდევ ერთხელ გაამყარა ეჭვი ამ საქმეების მიმართ დაინტერესების თაობაზე.

---

[111] ადვოკატების ცნობით, სხდომის გადანიშვნის მიზეზი მოსამართლის ავადმყოფობა გახდა.

[112] დანაშაულები გათვალისწინებული სსკ-ის $353^1$-ე მუხლის პირველი და 260-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[113] საიამ ადვოკატებთან კომუნიკაციით მიიღო ინფორმაცია, რომ მათ 18.10.24-სა და 04.11.24-ში გაუგზავნეს მიმართვის წერილები მოსამართლეს.

[114] მათ ბრალდება სსკ-ის 353 პრიმა მუხლის პირველი (პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურესა ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა) და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) ედავებოდა.

[115] მასაც ბრალდების მხარე სსკ-ის 353 პრიმა მუხლის პირველი (პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურესა ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა) და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) ედავებოდა.

[116] გიორგი ოკმელაშვილის, ფრიდონ ბუბუტეიშვილის და ომარ ოკრიბელაშვილის საქმეები.

**მაშინ, როდესაც აქტივისტების მიმართ სახელმწიფოს შეუწყნარებელი პოლიტიკა აქვს და მათ სამაგალითოდ სჯის, ამ დრომდე არ მომხდარა „რუსული კანონის“ პროტესტის დროს სამართალდამცველთა მხრიდან უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტების სათანადო გამოძიება და პასუხისმგებელი პირების გამოვლენა.**

## 3.6. დაცვის უფლების შეზღუდვა

აქტივისტების მიმართ მიმდინარე საქმეებზე ერთ-ერთი გამოწვევა ასევე იყო დაცვის უფლების შეზღუდვა. 2025 წლის 24 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო გალუსტაშვილმა აქციების კონტექსტში დაკავებული პირების - ანდრო ჭიჭინაძის, ონისე ცხადაძის, გურამ მირცხულავას, ჯანო არჩაიას, ლუკა ჯაბუას, რუსლან სივაკოვის, რევაზ კიკნაძის, გიორგი ტერაშვილის, ვალერი თეთრაშვილის, სერგეი კუხარჩუკის და ირაკლი ქერაშვილის - სისხლის სამართლის საქმეზე თერთმეტივე ბრალდებულს საზოგადოებრივი ადვოკატი დაუნიშნა. ამის საფუძველი, მოსამართლის განმარტებით, სხდომის გაჭიანურების თავიდან აცილება იყო. თერთმეტი ბრალდებულიდან ერთ-ერთის, ირაკლი ქერაშვილის ადვოკატი არ იმყოფებოდა სხდომაზე. მან სასამართლოს 1 თვით ადრე მიაწოდა ინფორმაცია, რომ სხდომა ამ კონკრეტულ დღეებში არ ჩანიშნულიყო. პირველ ეტაპზე მოსამართლემ გაითვალისწინა ეს გარემოება, თუმცა, მოგვიანებით, უკვე გაწერილ განრიგში დაამატა სხდომები. ამის გამო, პროტესტის ნიშნად, თავად ბრალდებულმა ირაკლი ქერაშვილმაც დატოვა სხდომის დარბაზი. მოსამართლემ თერთმეტივე ბრალდებულს სავალდებულო წესით დაუნიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი, მაშინ, როდესაც, ერთის გარდა, ყველა დანარჩენი ბრალდებულების ადვოკატები განხილვას ესწრებოდნენ და აცხადებდნენ, რომ არ სურდათ მათ საქმეში ახალი ადვოკატის ჩართვა.

კანონით, სავალდებულო დაცვის დანიშვნა ისეთ შემთხვევებში განისაზღვრა, როდესაც ბრალდებული სხვადასხვა მიზეზით თავად ვერ შეძლებს დაცვის ჯეროვნად განხორციელებას, არ არის უნარიანი, საკუთარი თავი დაიცვას ან მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე განაპირობებს ბრალდებულის ეფექტიანი დაცვით უზრუნველყოფის აუცილებლობას. კონკრეტულად, სავალდებულოა, ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, თუ: ა) არასრულწლოვანია; ბ) არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; გ) აქვს შესაძლებლობის იმგვარი შეზღუდვა, რომელიც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას; დ) გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; ე) ჩადენილი ქმედებისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით; ვ) მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე; ზ) სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; თ) იგი თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას; ი) გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან; კ) არაიდენტიფიცირებული პირია; $კ^1$) განიხილება გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში მისი ექსტრადიციის საკითხი; ლ) სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მოცემულ საქმეზე არ არსებობდა კანონისმიერი საფუძვლები საზოგადოებრივი ადვოკატების დანიშვნისთვის. პრევენციულად საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს. მხედველობაშია ასევე მისაღები ბრალდებულსა და მის დამცველს შორის ნდობის ფაქტორი. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება ნდობას. ბრალდებულთა მიერ სხდომაზე გაცხადებული პოზიციით, მათ უკვე ჰყავდათ კერძო, შეთანხმებით მოწვეული, ადვოკატები. საქმის განხილვის ეტაპზე არ

გამოვლენილა არცერთი შემთხვევა, რომ რომელიმე ბრალდებული დამცველის გარეშე ყოფილიყო და ამ მიზეზით სასამართლოს ხელი შეშლოდა სხდომის ჩატარებაში. იმ პირობებში, როდესაც, ზოგ შემთხვევაში, თითო ბრალდებულს 4 ან 5 დამცველი ჰყავდა, გაურკვეველია, რა საჭირო იყო დამატებით საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნა. დაცვის მხარის განმარტებით, მაშინ, როდესაც არ არსებობს რაიმე კანონისმიერი საფუძველი, გაუგებარია, რატომ უზღუდავს სასამართლო ბრალდებულებს კონკრეტული დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლებას.

საიას შეფასებით, ასეთ ვითარებაში სავალდებულო წესით ადვოკატის დანიშვნა უსაფუძვლოა და ეს ბრალდებულის დაცვის უფლებაში სასამართლოს მხრიდან უხეში ჩარევაა.[117]

ყურადსაღებია ისიც, რომ სავალდებულო წესით დანიშნულმა ადვოკატებმა მრავალტომიანი საქმის გასაცნობად სასამართლოსგან ორკვირიანი ვადა ითხოვეს, რათა მოწმის დაკითხვისთვის სრულყოფილად მომზადებულიყვნენ. თუმცა, მოსამართლემ არც ეს გაითვალისწინა და პროცესი ორ დღეში დანიშნა, ადვოკატებს კი მოუწოდა, საქმეს ეტაპობრივად გასცნობოდნენ და ამის პარალელურად მიეღოთ მონაწილეობა დაკითხვაში.

2025 წლის 11 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი ხუსკივაძემ განიხილა 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის აქციების კონტექსტში დაკავებული 8 ბრალდებულის - ნიკოლოზ ჯავახიშვილის, თორნიკე გოშაძის, ირაკლი მიმინოშვილის, ზვიად ცეცხლაძის, ვეფხია კასრაძის, ვასილ კაძელაშვილის, გიორგი გორგაძის და ინსაფ ალიევის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი.

ამ სხდომაზე საგანგაშო იყო ბრალდებულთა დაცვის უფლების უხეში უგულებელყოფა, რითაც, საიას შეფასებით, დაირღვა სამართლიანი სასამართლოს უფლება. პროცესზე არ იყო უზრუნველყოფილი საქმის ზეპირი განხილვისთვის საჭირო ლოჯისტიკური გარანტიები, რამაც შემდგომ გამოიწვია სამართლიანი სასამართლოს უფლების მატერიალური დარღვევაც და ბრალდებულები, ფაქტობრივად, დაცვის გარეშე დატოვა. ეს გამოიხატა შემდეგ ეპიზოდებში:

- მცირე სივრცე ქმნიდა ბრალდებულებსა და ადვოკატებს შორის ეფექტიანი და პრაქტიკული კომუნიკაციის გამოწვევებს: ბრალდებულების და მათი ადვოკატების დიდი რაოდენობის (8 პირი და მათი დამცველები), მაღალი საჯარო ინტერესის და პროცესზე დასწრების მსურველთა (მათ შორის, ბრალდებულთა ოჯახის წევრები და ნათესავები, რომელთა ნაწილმა დარბაზში შესვლა ვერ მოახერხა) სიმრავლის მიუხედავად, სასამართლომ არ უზრუნველყო სხდომის ჩატარება ყველაზე დიდ დარბაზში, რომელიც იმ დროისთვის იყო თავისუფალი, ხოლო ამგვარი ვითარება სასამართლოსთვის - წინასწარ განჭვრეტადი. მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობის შემდგომაც არ შეცვალა დარბაზი და სხდომის წარმართვა კვლავ შედარებით მცირე ზომის დარბაზში გააგრძელა, რაც ბრალდებულებსა და ადვოკატებს შორის კომუნიკაციას ართულებდა.
- მცირე სივრცე რეალური რისკის ქვეშ აყენებდა ბრალდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და, შესაბამისად, პროცესში მათ ჯეროვან მონაწილეობას. სხდომის დარბაზში ხალხის სიმრავლის გამო, ირაკლი მიმინოშვილი ცუდად გახდა (უჩიოდა უჰაერობას), რაც დამატებით პრობლემებს ქმნიდა ადვოკატებსა და ბრალდებულებს შორის კომუნიკაციის თვალსაზრისით.

[117] საიას განცხადება, „მოსამართლე ნინო გალუსტაშვილმა 11-პირიან საქმეზე ბრალდებულებს საზოგადოებრივი ადვოკატი იძულებით დაუნიშნა, რაც უსაფუძვლოა და დაცვის უფლებაში უხეში ჩარევაა", 25.06.2025. განახლებულია: 15.09.2025.

- სხვა ტექნიკური გამოწვევები: თავდაპირველად, ადვოკატებისთვის არ იყო საკმარისი სივრცე, რის გამოც, 11 ადვოკატს ერთ მაგიდასთან მოუწია განთავსება. მოგვიანებით, მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ მაგიდა დაამატა.
- მოსამართლემ, ნაცვლად იმისა, რომ სხდომა შედარებით დიდ დარბაზში გადაეტანა, ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემდეგ ადვოკატებისა და ბრალდებულების მიერ დარბაზის დატოვების საპასუხოდ, საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატები ჩართო. ამით მან ბრალდებულები დააყენა არჩევანის წინაშე: სასამართლო დარბაზში წარმოდგენილნი ყოფილიყვნენ მათი ადვოკატები (მიუხედავად ზემოაღნიშნული კომუნიკაციური გამოწვევებისა), ან მათ ინტერესებს სავალდებულო წესით საზოგადოებრივი ადვოკატები დაიცავდნენ, რომლებთანაც მანამდე მათ არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონიათ.

ამგვარი პირობის წამოყენება ულტიმატუმის ხასიათს ატარებდა, ვინაიდან სასამართლომ სრულად უგულებელყო ის ობიექტური რეალობა, რომელზეც, დაცვის უფლების არაჯეროვანი განხორციელების გამო, ადვოკატები აპელირებდნენ. საიას შეფასებით, ასეთი მიდგომა სასამართლოს მხრიდან იყო განზრახ უგულებელყოფა ბრალდებულის უფლებისა, დაეცვა მის მიერ არჩეულ ადვოკატს. აღსანიშნავია, რომ საქმეში შემდგომ ჩართული საზოგადოებრივი ადვოკატები იმავე გამოწვევებზე მიუთითებდნენ, რომლებზეც მანამდე კერძო ადვოკატები საუბრობდნენ. გარდა ამისა, ისინი აღნიშნავდნენ, რომ არ იცნობდნენ ბრალდებულთა პოზიციას, ვინაიდან სხდომაზე ამ დროისთვის არცერთი ბრალდებული აღარ იმყოფებოდა.

ზემოთ ჩამოთვლილი საორგანიზაციო და სხვა სირთულეები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე. ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კომუნიკაცია გადამწყვეტია და ის უნდა იყოს ეფექტიანი, პრაქტიკული. საიას შეფასებით, სასამართლოს საქმის განხილვისას უნდა შეექმნა შესაბამისი პირობები, რომელშიც ბრალდებულებს ექნებოდათ განცდა, რომ იყვნენ დაცულნი მათ მიერ არჩეული ადვოკატების მიერ, შესაბამისად, ჰქონდათ უსაფრთხო გარემო, რომელიც უზრუნველყოფდა პროცესში მათ ჯეროვან მონაწილეობას.

2025 წლის 11 იანვრის პროცესის დარღვევები, თავისი მასშტაბით, უტოლდება სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი გარანტიების მოშლას, როგორიცაა დაცვის უფლება. ეს კი, თავის მხრივ, საფუძველია მტკიცებისა, რომ სამართალწარმოება არ იყო სამართლიანი, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების სფეროში.[118]

## 3.7. თარჯიმნებთან დაკავშირებული გამოწვევები

მიმდინარე საქმეებში გამოიკვეთა თარჯიმნებთან დაკავშირებული პრობლემებიც. მათი არაკვალიფიციურობა ან თარგმნის პროცესში გამოვლენილი არსებითი ხარვეზები პირდაპირ ზღუდავს ბრალდებულის უფლებებს, განსაკუთრებით, დაცვის ეფექტიანი განხორციელებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის რეალიზების თვალსაზრისით. როდესაც ბრალდებულს არ აქვს შესაძლებლობა, გაიგოს მის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესის შინაარსი, მათ შორის, ბრალდების ფორმულირება, მტკიცებულებების შეფასება და მოწმეების ჩვენებები, იგი ვერ ახერხებს საკუთარი პოზიციის ჯეროვნად გამოხატვას და ვერც დაცვის მექანიზმებს იყენებს ადეკვატურად.

---

[118] საიას განცხადება, „8 პირის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის სხდომა სამართლიანი სასამართლოს უფლების უხეში დარღვევით წარიმართა", 11.01.2025. განახლებულია: 15.09.2025.

ამგვარი პროცესუალური ხარვეზები არღვევს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს და განიხილება, როგორც სისტემური პრობლემები, რომლებიც უშუალოდ აისახება პროცესის სამართლიანობაზე. ასეთ ვითარებაში, სასამართლო პროცესი, შესაძლოა, ფორმალურად ჩაითვალოს ჩატარებულად, თუმცა, რეალურად, ის ვერ აკმაყოფილებს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია ბრალდებულის აქტიური და არსებითი მონაწილეობისთვის.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარემ განმარტა, რომ თარჯიმნის მიერ განხორციელებული თარგმანი არ ემსახურებოდა ბრალდებულის ინტერესებს და ზოგჯერ იყო არსებითად არასაკმარისი ან არასათანადო. გამოწვევები უკავშირდებოდა როგორც თარგმანის ხარისხს, ასევე ნეიტრალობისა და ეთიკური სტანდარტების დარღვევას,[119] რაც მნიშვნელოვანი ბარიერი იყო პროცესში ბრალდებულის სრულფასოვანი მონაწილეობისა და დაცვის უფლების რეალიზებისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თარჯიმანმა შორენა ტაბატაძემ, რომელიც სისხლის სამართლის არაერთ საქმეში ფიგურირებს.[120] დაცვის მხარემ რამდენჯერმე შეიტანა ეჭვი როგორც მის პროფესიულ კომპეტენციაში, ასევე პროცესში ნეიტრალურობის დაცვის კუთხით. ამგვარი გარემოებები საყურადღებოა, რადგან თარჯიმნის ობიექტურობა და მისი მხრიდან მაღალი პროფესიული სტანდარტების გამოვლენა უმნიშვნელოვანესია ბრალდებულის სამართლებრივი გარანტიების სრულყოფილად უზრუნველყოფისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის რეალიზებისთვის.

## 3.8. განაჩენები და სასჯელები

აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეთა ნაწილის სასამართლო განხილვები დასრულდა[121] და სამის გარდა ყველა მათგანზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა. 2024 წლის რუსული კანონის პროტესტის დროს სისხლის სამართლის წესით დაკავებული 10 პირიდან 8-ს სასამართლომ ე.წ. საპატიმრო სასჯელი განუსაზღვრა.[122]

რაც შეეხება 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის აქციების კონტექსტში დაკავებულ პირებს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ყველა მსჯავრდებულ პირს სასჯელის სახედ და ზომად ე.წ. საპატიმრო სასჯელი - ვადიანი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა (სასჯელების შესახებ ინფორმაცია დეტალურად იხილეთ თანდართულ ცხრილში).

საყურადღებოა, რომ ერთ საქმეზე (საბა სხვიტარიძის საქმე) **თავად პროკურატურამ შეცვალა კვალიფიკაცია**. თავდაპირველად, საბა სხვიტარიძეს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებოდნენ, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს. თუმცა, მოგვიანებით, მოსამართლე ჯვებე ნაჭყებიამ, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულს კვალიფიკაცია 120-ე მუხლით - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებით შეუცვალა და, საბოლოოდ, სასჯელიც ამ მუხლის სანქციის ფარგლებში განუსაზღვრა - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

---

[119] მაგალითად, ე.წ. 11-პირიან, ანტონ ჩეჩინის, ანასტასია ზინოვკინას და არტემ გრიბულის სისხლის სამართლის საქმეებზე.
[120] თარჯიმანი მონაწილეობდა ანტონ ჩეჩინის, ანასტაია ზინოვკინას და არტემ გრიბულის სისხლის სამართლის საქმეებში.
[121] იხილეთ დანართი 2.
[122] საიას განცხადება, „სასამართლომ რუსული კანონის პროტესტის დროს სისხლის სამართლის წესით დაკავებული ყველა პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, 04.02.2025. განახლებულია: 17.09.2025.

სხვა რამდენიმე შემთხვევაში სასამართლომ გადააკვალიფიცირა წარდგენილი ბრალდება. მაგალითად, **ანატოლი გიგაურის საქმეზე** მოსამართლე ჯვებე ნაჭყებიამ კვალიფიკაცია შეცვალა[123] და, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით, ანატოლი გიგაურს სასჯელის სახედ და ზომად ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.[124] წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირეს მოსამართლეებმა თამარ მჭედლიშვილმა და ნინო გალუსტაშვილმა ე.წ. რვა[125] და თერთმეტ[126] პირიან საქმეებზე. სსკ-ის 225-ე მუხლის ნაცვლად,[127] მათ მსჯავრი სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით დაადგინეს, რაც გულისხმობს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ან მასში აქტიურ მონაწილეობას. ამ საქმეებში ბრალდებულებს სასჯელის სახედ განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, გარდა ზვიად ცეცხლაძის, ვეფხია კასრაძისა და ვასილ კაძელაშვილისა, რომლებსაც მოსამართლე თამარ მჭედლიშვილმა 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბრალი გადაუკვალიფიცირდა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელსაც - სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის ნაცვლად (პოლიციელსა ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა), მოსამართლემ განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ) დაადგინა და სასჯელად 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

**აღსანიშნავია, რომ სასამართლომ მხოლოდ სამი პირის მიმართ გამოტანა გამამართლებელი განაჩენი და სამივე მათგანი ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებული პირი იყო. მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილმა - გიორგი ახობაძე,[128] ხოლო თამარ მჭედლიშვილმა - თევდორე აბრამოვი[129] და ნიკოლოზ კაცია[130] უდანაშაულოდ ცნეს.**

## 3.9. ნარკოტიკული დანაშაულის საქმეები

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, სასამართლო, როგორც წესი, ეყრდნობა ჩხრეკა-ამოღების ოქმს და ამ პროცესში მოპოვებულ ნივთიერ მტკიცებულებას. ეს საგამოძიებო მოქმედება, ხშირად, ტარდება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შედგენილ პატაკზე დაყრდნობით. სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის მიერ ყოველთვის იკითხებიან პოლიციის ის თანამშრომლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩხრეკასა და ამოღებაში. ისინი, პროკურორის მსგავსად, ასევე ბრალდების მხარეს წარმოადგენენ. შედეგად, არაერთ საქმეში — განსაკუთრებით, ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით — სასამართლო

---

[123] პროკურატურამ გიგაურს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციელზე თავდასხმა, პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) წარუდგინა.

[124] „პუბლიკის“ სტატია „ანატოლი გიგაურს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა“, 12.08.2025. განახლებულია: 17.09.2025.

[125] ბრალდებულები: ნიკოლოზ ჯავახიშვილი, თორნიკე გოშაძე, ირაკლი მიმინოშვილი, ზვიად ცეცხლაძე, ვეფხია კასრაძე, ვასილ კაძელაშვილი, გიორგი გორგაძე და ინსაფ ალიევი.

[126] ბრალდებულები: ანდრო ჭიჭინაძე, ონისე ცხადაძე, გურამ მირცხულავა, ჯანო არჩაია, ლუკა ჯაბუა, რუსლან სივაკოვი, რევაზ კიკნაძე, გიორგი ტერიშვილი, ვალერი თეთრაშვილი, სერგეი კუხარჩუკი და ირაკლი ქერაშვილი.

[127] ეს გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. ხსენებული ბრალდებულებიდან ორგანიზება მხოლოდ სამს - ზვიად ცეცხლაძეს, ვეფხია კასრაძეს და ვასილ კაძელაშვილს ჰქონდა წარდგენილი.

[128] „რადიო თავისუფლების“ სტატია - „გიორგი ახობაძის განაჩენს მოსამართლე 6 აგვისტოს გამოაცხადებს“, 05.08.2025. განახლებულია: 17.09.2025.

[129] „რადიო თავისუფლების“ სტატია - „სასამართლომ თედო აბრამოვი უდანაშაულოდ ცნო - ის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა“, 15.08.2025. განახლებულია: 17.09.2025.

[130] „ფორმულას“ სტატია - „ნიკა კაცია სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო“, 03.09.2025. განახლებულია: 17.09.2025.

ეყრდნობა ბრალდების მხარის მიერ მოწოდებულ, არანეიტრალურ მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებული გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დგინდება გამამტყუნებელი განაჩენი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო[131] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენებას იმ პირობებში, როდესაც ამ ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ქონა დასტურდება მხოლოდ იმ პირების ჩვენებებით, რომლებიც თავად წარმოადგენენ ბრალდების მხარეს და უშუალოდ მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში.

თუ ჩხრეკა ან ამოღება ანონიმური შეტყობინების ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საიდუმლო თანამშრომლისგან (კონფიდენტისგან)/შესაბამისი წყაროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ან მე-5 ნაწილით დადგენილი წესით ჩატარდა და ამოიღეს უკანონო საგანი, ნივთი ან ნივთიერება, ისინი გამამტყუნებელ განაჩენს შეიძლება საფუძვლად დაედოს იმ შემთხვევაში, თუ პირის მფლობელობაში მათი ყოფნა, ამ საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი გამომძიებლის, საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე გამომძიებლის ან ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციის მქონე პირის ჩვენებებისა და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმის გარდა, სხვა მტკიცებულებითაც დასტურდება. ეს წესი არ გამოიყენება, როდესაც სხვა მტკიცებულების მოპოვება/წარდგენა ობიექტურად შეუძლებელია.[132]

საიას შეფასებით, ცვლილება სრულად არ პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილში დანახულ რისკებსა და სულისკვეთებას, არ აკისრებს ბრალდების მხარეს ვალდებულებას, რომ განახორციელოს ჩხრეკა/ამოღების ვიდეოგადაღება და ფართო შესაძლებლობას უტოვებს, ვერ/არ მოიპოვოს ნეიტრალური მტკიცებულებები, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პოლიციელების პირობებში მარტივად შესაძლებელია.[133]

თბილისის საქალაქო სასამართლოში აქტივისტების მიმართ მიმდინარე საქმეების განხილვებმა კიდევ ერთხელ ცხადყო ზემოთ ხსენებული ვარაუდი. ამ საქმეების დიდ ნაწილში არ არის წარმოდგენილი ვიდეომტკიცებულებები, ისეთ შემთხვევაშიც კი, როცა შესაძლებელი იყო გარე პერიმეტრზე არსებული ვიდეოჩანაწერების გამოთხოვნა, რომლებშიც, სავარაუდოდ, ასახული იქნებოდა ჩხრეკა-ამოღების პროცესი. ამასთანავე, კითხვის ნიშნებს აჩენს ის ვიდეომტკიცებულებები, რომლებიც ჩხრეკის ჩატარების პროცესს ასახავს. გამოკვლეულ ვიდეოებში ჩხრეკის პროცესი გვაფიქრებინებს, რომ ჩხრეკაში მონაწილე პოლიციელების ნაწილი არა ჩხრეკის შედეგად რაიმე ნივთის მოსაძებნად, არამედ პირდაპირ, კონკრეტული ადგილიდან მის ამოსაღებად იყო მისული.[134] ზოგიერთ შემთხვევაში, ეჭვებს ბადებს ჩხრეკაზე დამსწრე ნეიტრალურ პირებად წარმოჩენილი მოწმეების ნეიტრალურობა, მათ მიმართ არსებული კითხვის ნიშნების გათვალისწინებით.[135]

---

131 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება, სიახლეები, განახლებულია: 17.09.2025.

132 საქართველოს კანონი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, 28.06.2021. განახლებულია: 17.09.2025.

133 საია, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში, 2021, 76. განახლებულია: 17.09.2025.

134 მაგ. ანასტასია ზინოვკინას ბინის ჩხრეკა.

135 მაგ. ამ საქმეზე წარმოდგენილი ერთ-ერთი მოწმე ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სიპში დასაქმებული პირია, ხოლო ერთ თარჯიმანს ხანგრძლივი ან/და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ საქმის გამომძიებლებთან. იხ თარჯიმნების თავი.

სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეზე,[136] რომელზეც გამამართლებელი განაჩენი დადგა, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: *„[...] სასამართლო ითვალისწინებს ოპერატიული ინფორმაციის მიღებიდან საგამოძიებო მოქმედების - ბრალდებულის პირადი ჩხრეკის - დაწყებამდე გასულ დროს, იმ გარემოებებს, რომ პირადი ჩხრეკა ჩატარდა მშვიდ ვითარებაში, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, შესაბამისად, ვიდეოფიქსაციის საშუალების ხელმისაწვდომობას (მათ შორის, მობილური ტელეფონი), რაც მიუთითებს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, პოლიციელთა ჩვენების გარდა, სხვა მტკიცებულების მოპოვება ობიექტურად შესაძლებელი იყო, ვინაიდან ოპერატიული ინფორმაციის მიღება არ მოითხოვდა იმგვარი გადაუდებელი აუცილებლობით მოქმედებას, რომელიც გამორიცხავდა უფლებამოსილი პირის შესაძლებლობას, ჩხრეკამდე მომზადებულიყო, აღჭურვილიყო შესაბამისი ტექნიკური საშუალებით და ჩხრეკის განხორციელება ვიდეოგადაღებით უზრუნველეყო. აღსანიშნავია, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, როგორც წესი, გადაულახავ სირთულესთან არ არის დაკავშირებული ჩხრეკის დაფიქსირება, თუნდაც მობილურ ტელეფონში არსებული ვიდეოკამერით, რომელიც დღესდღეობით, ფაქტობრივად, ყოველდღიური მოხმარების ნივთს წარმოადგენს [...]“.*

ამ მსჯელობასთან ერთად, ამავე საქმის განაჩენში მოსამართლემ აღნიშნა, რომ, წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის ვერსიას, თითქოს გამართლებულს,[137] აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის გამო, ნარკოტიკული საშუალება პოლიციელებმა *„[...] „ჩაუდეს“, ბრალდებულისგან იძულებით აიღეს ბიოლოგიური ნიმუში და დაიტანეს ნარკოტიკული საშუალების შესაფუთ მასალაზე. გარდა ამისა, დაცვის მხარე აპელირებდა, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ბრალდების მხარემ არ უზრუნველყო და არც უცდია ნეიტრალური მტკიცებულებების, როგორიცაა ვიდეოჩანაწერი, გაკეთება/მოპოვება ან გარეშე პირის მოწვევა, რისი შესაძლებლობაც მათ გააჩნდათ“.*[138]

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ხაზს უსვამს საქმეში ნეიტრალური მტკიცებულების არქონას და ამით ასაბუთებს გამამართლებელ განაჩენს, გაუგებარია, რაზე დაყრდნობით გამორიცხავს ზემოთ ხსენებულს, ან რა მიზნით აპელირებს აღნიშნულზე. როცა სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლეოდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით პირის დამნაშავედ ცნობის ერთობლიობას, ლოგიკურად, მხოლოდ ერთი ეჭვი შეიძლება არსებობდეს, რომ პირს არ ჰქონია ის ნარკოტიკული საშუალება, რომლის შეძენა-შენახვასაც ედავებოდა ბრალდების მხარე. საიდან მოხვდა ს ს საქმეში ხსენებული ნარკოტიკული საშუალება, ეს, შესაძლოა, მხოლოდ შემდგომი გამოძიების საგანი გახდეს.

ვინაიდან ამ საქმეებზე ბრალდების მხარე სასამართლოში არ წარადგენდა ნეიტრალურ მტკიცებულებებს, **გვაფიქრებინებს, რომ მას არ ჰქონდა სასამართლოს მხრიდან მაღალი მოთხოვნების შესაბამისად მოქმედების მოლოდინი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით.**

[136] გიორგი ახობაძის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, საქმე N1/88-25, 6 აგვისტო, 2025.
[137] ჩანაცვლებულია პირის სახელი და გვარი.
[138] გიორგი ახობაძის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, საქმე N1/88-25, 6 აგვისტო, 2025.

## 3.10. „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილების პრობლემურობა

2025 წლის იანვრის მიწურულს სოციალური ქსელის საშუალებით დაანონსდა ინფორმაცია „თბილისი მოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის ჩატარების შესახებ.[139] აქციის მონაწილეთა მიზანი ფართომასშტაბიანი დემონსტრაციის გამართვა და გზის გადაკეტვა იყო, რათა კიდევ ერთხელ ეჩვენებინათ ხელისუფლებისთვის, „რომ პროტესტი არის სახალხო, მძლავრი და უკომპრომისო“.[140] ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საქართველოს მთავრობამ დროის მცირე პერიოდში ცვლილება შეიტანა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №361 დადგენილებაში. ზემოხსენებული ცვლილება 31 იანვრით თარიღდება, რაც ერთი დღით უსწრებს დაგეგმილ აქციას. კონსოლიდირებული დადგენილების მიხედვით, „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ობიექტების ჩამონათვალს დაემატა ერთადერთი პუნქტი: „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრული საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები.[141] ზემოხსენებულმა ცვლილებამ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააწესა „თბილისი მოლის“ მიმდებარედ აღმაშენებლის გამზირის გადაკეტვისთვის,[142] რის საფუძველზეც, საქართველოს პროკურატურამ 8 დაკავებულს ბრალი წარუდგინა.[143]

დაგეგმილ აქციამდე 1 დღით ადრე მთავრობის დადგენილებაში მხოლოდ ერთი პუნქტის ჩამატება, რომელიც მოიცავს დაანონსებული აქციის ჩატარების ტერიტორიას, ეჭვს აჩენს, რომ ხელისუფლება ბოროტად იყენებს უფლებამოსილებას და ცდილობს, ხელოვნურად ხელი შეუშალოს ადამიანის ფუნდამენტურ, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას.[144]

აღსანიშნავია გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №361 დადგენილების კონსოლიდირებული ვერსია არ იყო ხელმისაწვდომი საკანონმდებლო მაცნეს უფასო ვერსიაში, რაც ხელს უშლის საზოგადოებას, სრულყოფილად იყოს ინფორმირებული სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებასთან დაკავშირებით.

მთავრობის დადგენილებაში ცვლილება ერთ დღეში შევიდა. აღნიშნულის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივად დასჯადი გახდა ქმედება, რომელიც ერთი დღით ადრე პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებდა. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოხსენებული აქცია დადგენილების ცვლილებამდე იყო დაანონსებული, ხოლო დადგენილება აქციამდე ერთი დღით ადრე შეიცვალა, დროის მცირე შუალედის გამო, საზოგადოებას არ მიეცა გონივრული ვადა იმისთვის, რომ ინფორმირებული ყოფილიყო.

---

[139] BUSINESS MEDIA-ს სტატია - „2 თებერვალს, 16:00 საათზე პროტესტის ნიშნად გზის გადაკეტვა დაანონსდა“, 30.01.25. განახლებულია: 17.09.2025.

[140] „პუბლიკის“ სტატია - „მსს „თბილისი მოლთან" აქციაზე: მოგიწოდებთ, თავი შეიკავოთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებისაგან“, 01.02.2025. განახლებულია: 17.09.2025.

[141] საქართველოს მთავრობის დადგენილება №28, „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №361 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 31.01.2025, ხელმისაწვდომია ელექტრონულად; სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №361, 23.02.2024, ხელმისაწვდომია ელექტრონულად.

[142] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 25.07.2025, მუხლი 222, განახლებულია: 17.09.2025.

[143] „რადიო თავისუფლების“ სტატია - „თბილისი მოლთან“ გზის გადაკეტვის მცდელობის ბრალდებით სისხლის სამართლის წესით რვა ადამიანი დააკავეს“, 04.02.2025, განახლებულია: 17.09.2025.

[144] საქართველოს კონსტიტუცია, 29.06.2020. მუხლები 21-17; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 20/05/1999, მუხლები 10-11, განახლებულია: 17.09.2025.

საყურადღებოა, რომ დადგენილების ცვლილებისა და 8 პირის დაკავების შემდეგ, 2025 წლის 6 თებერვალს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლში შევიდა ცვლილება და მას შენიშვნის სახით დაემატა: „შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხა მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით".[145] ასევე, 2025 წლის 20 თებერვალს მთავრობამ ახალი დადგენილება გამოსცა, რომელიც მანამდე შეტანილ ცვლილებას სიტყვასიტყვით იმეორებს და მხოლოდ ქრონოლოგიაა შეცვლილი.[146] აღსანიშნავია, რომ 20 დღის განმავლობაში დადგენილების ცვლილება, შემდეგ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების რედაქტირება და ბოლოს, დადგენილების თავიდან გამოცემა, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ თავდაპირველი ცვლილება იყო იმპულსური, გაუმართავი და კონკრეტული მიზნისკენ მიმართული.

პრობლემურია გარემოება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში შესული განხილული ცვლილების შემდეგ მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ, დადგენილებით განსაზღვროს, რა ობიექტის ბლოკირება იქცევა სისხლის სამართლის დანაშაულად. ვინაიდან მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების შტოს მიეკუთვნება და არა საკანონმდებლოს, ჩნდება კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარმა რედაქტირებებმა, შესაძლებელია, საქართველოს მთავრობას, ირიბად, კანონშემოქმედებითი უფლებამოსილება მიანიჭოს.

## 3.11. უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია, რომელიც განაპირობებს პირის სამართლებრივ გარანტიებს, თავისუფლებას და ღირსების პატივისცემას. ამ პრინციპის დაცვა არის არა მხოლოდ ფორმალური სამართლებრივი მოთხოვნა, არამედ გარანტია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, კანონის უზენაესობას და დემოკრატიულ ღირებულებებს.

სამართლიანმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მართლმსაჯულებამ, კანონის საფუძველზე, უნდა უზრუნველყოს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაისაჯოს პირი, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით. სწორედ ამიტომ, უდანაშაულობის პრეზუმფცია სამართლებრივ სახელმწიფოში ერთ-ერთი უტყუარი პრინციპია, რომელიც იცავს როგორც ინდივიდის, ისე, მთლიანად, საზოგადოების ინტერესებს.

უდანაშაულობის პრეზუმფცია გარანტირებულია როგორც საერთაშორისო სამართლებრივი,[147] ისე ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოებით — საქართველოს კონსტიტუციისა[148] და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის[149] მუხლებით, რაც სახელმწიფო ინსტიტუტებს მათ დაცვას ავალდებულებს.

ამგვარად, უდანაშაულობის პრეზუმფცია არის სამართლებრივი გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას, იცავს ბრალდებულის ღირსებასა და თავისუფლებას, ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან უსამართლო

---

[145] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 06/02/2025. განახლებულია: 17.09.2025.

[146] საქართველოს მთავრობის დადგენილება №40, 20.02.2025. განახლებულია: 17.09.2025.

[147] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948) — მუხლი 11(1), ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია (1950) — მუხლი 6(2), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966) — მუხლი 14(2).

[148] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31.

[149] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 5.1.

ან წინასწარ მიკერძოებულ ქმედებებს და გამორიცხავს სამართლებრივი პასუხისმგებლობის პოლიტიზაციას.

პოლიტიკური თანამდებობის პირები, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, პარლამენტარები, მინისტრები არიან სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომელთა განცხადებებს აქვს მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ზეგავლენა. მათი სიტყვები ხშირად აღიქმება, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია, რაც ზრდის მათ პასუხისმგებლობას. საჯარო განცხადებების დროს, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიება ან/და სასამართლო განხილვა, მათ უნდა შეინარჩუნონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემა და თავი შეიკავონ ბრალდებაზე წინასწარ საუბრისგან.

*„ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“.*[150]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დაკვირვებით, აქტივისტების წინააღმდეგ მიმდინარე საქმეებზე განაჩენების დადგენამდე ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლების მხრიდან გაკეთდა არაერთი საჯარო განცხადება, რომლებიც არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირები მიმდინარე საქმეებში არ წარმოადგენდნენ მხარეს, შესაბამისად, მათ არ უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების შესახებ. ეს განცხადებები, გარდა იმისა, რომ ლახავდა ბრალდებულების უდანაშაულობის პრეზუმფციას, ემსახურებოდა, მცდარი ინფორმაციის გავრცელების გზით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ბრალდებულთა მიმართ გარკვეული ნეგატიური წარმოდგენების ჩამოყალიბებას. ამასთანავე, ეს განცხადებები შეიძლება, ერთგვარად, აღქმულიყო ასევე როგორც სასამართლოსადმი მითითება, გამოეტანათ გარკვეული ტიპის, მმართველი გუნდისთვის მისაღები გადაწყვეტილებები.

მაგალითად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა დეზინფორმაციული განცხადებებით არაერთხელ დაარღვიეს უდანაშაულობის პრეზუმფცია მზია ამაღლობელთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ ირაკლი კობახიძემ 2025 წლის 29 იანვარს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემა „იმედი LIVE“-ში განაცხადა შემდეგი: *„ფაქტი იყო ასეთი. თქვენ გახსოვთ ჯერ იყო პირველი ინციდენტი, როდესაც სტიკერებს აკრავდა პოლიციელებს ეს ადამიანი. მისი ეს სამართალდარღვევა არავითარი ფორმით არ იყო დაკავშირებული ჟურნალისტურ საქმიანობასთან, იქ ის მოქმედებდა, როგორც პარტიული აქტივისტი. აქედან გამომდინარე, მედიასთან ამ ფაქტის დაკავშირება არის აბსოლუტური სპეკულაცია [...] აქ არც კი გამოხატავს სინანულს, არც ის და არც მისი თანაპარტიელები კოლექტიური ნაცმოძრაობიდან“.*[151] 2025 წლის 16 აპრილს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში ირაკლი კობახიძე ასევე აცხადებდა: *„უდიდესი ნაწილი იმ ადამიანების, ვინც დღეს არის საპატიმროში, არის მსხვერპლი. ამას ვერ ვიტყოდი, მაგალითად, მზია ამაღლობელზე, რომელიც მსხვერპლი არ არის, რომელიც კონკრეტულ დავალებას ასრულებდა, როდესაც შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელს. მისი დავალება იყო პოლიციის დაკნინება და პოლიციის ღირსების შეურაცხყოფა“.*[152]

მსგავსი განცხადება გააკეთა მამუკა მდინარაძემაც. 2025 წლის 3 თებერვალს, სამთავრობო ბრიფინგის დროს მან თქვა: *„გმირად ნუ გამოიყვანთ ქალბატონს, რომელიც კონკრეტული დავალებით მოქმედებდა. [...] ჯერ „სტიკერი“ დააკრა პოლიციელს - ამ დავალების შინაარსი და შედეგი უნდა იყოს ის, რომ, რაც შეიძლება, რეპუტაცია შეელახოს სახელმწიფო ინსტიტუტებს,*

---

[150] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31.

[151] „რადიო თავისუფლების“ სტატია, „მზია ამაღლობელი კობახიძეს, მდინარაძეს და სუბარს ცილისწამებისთვის უჩივის“, 07.05.2025, განახლებულია: 15.09.2025.

[152] იქვე.

*პოლიციას. [...] ეს გააკეთა ერთადერთი მიზნით, რომ შეილახოს პოლიციისა და პოლიციელის რეპუტაცია".*[153]

2025 წლის 26 ივნისს კი ჟურნალისტებთან საუბრისას ნინო წილოსანმა გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება: *„კაცის და ქალის ანტისტანდარტია, როდესაც მეორე ადამიანს ურტყამ სახეში, განსაკუთრებით, როდესაც მეორე ადამიანი შეიძლება იყოს პოლიციელი, რომელმაც ზუსტად იმ მოქალაქის უფლებები და მისი უსაფრთხოება უნდა დაიცვას და, როდესაც ეს სახეში გარტყმა ხდება დაკვეთით, ფულის გადახდით, დაქირავებით და აგენტურული საქმიანობის ფარგლებში".*[154]

ყველა ზემოთ ხსენებული განცხადების საფუძველზე, მზია ამაღლობელის ადვოკატებმა სასამართლოს წინაშე დააყენეს ირაკლი კობახიძის და ნინო წილოსანის დაკითხვის შუამდგომლობა, რადგან, მათი მოსაზრებით, განცხადებების შინაარსიდან გამომდინარე, ეს ვერ შეფასდებოდა პოლიტიკურ განცხადებებად და არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. დაცვის მხარისთვის საინტერესო იყო, რაზე დაყრდნობით კეთდებოდა ეს განცხადებები,[155] თუმცა შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნები იკვეთებოდა სხვა შემთხვევებშიც, რომლებზეც დაცვის მხარე ასევე აპელირებდა პროცესების განმავლობაში.[156] მათი შეფასებით, ეს იყო სასამართლოზე მაღალი თანამდებობის პირების გავლენის დემონსტრირება. იმავდროულად, ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადება არ შეესაბამებოდა სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. გაუგებარია, მაგალითად, თბილისის მერი კახა კალაძე რატომ აკეთებდა კომენტარებს სისხლის სამართლის საქმეებზე, მაშინ, როცა მას არც ამის კომპეტენცია ჰქონდა და, სამართლებრივ სახელმწიფოში, არც მტკიცებულებებზე უნდა ჰქონოდა წვდომა.

**პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის ასეთი მასშტაბური დარღვევაც კი ცხადყოფს, რომ აქტივისტების და მზია ამაღლობელის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები გამოირჩეოდა მაღალი პოლიტიკური მდგენელით.**

---

[153] „რადიო თავისუფლების" სტატია, „მზია ამაღლობელი კობახიძეს, მდინარაძეს და სუბარს ცილისწამებისთვის უჩივის", 07.05.2025, განახლებულია: 15.09.2025; „საქართველოს ამბების" სტატია, „ირაკლი კობახიძემ გაიმეორა, რომ მზია ამაღლობელი „კონკრეტულ დაკვეთას" ასრულებდა", 10.07.2025, განახლებულია: 15.09.2025; „მთის ამბების" სიუჟეტი, „ივანიშვილის პრემიერის ცრუ განცხადებები მზია ამაღლობელზე", 17.05.2025, განახლებულია: 15.09.2025.

[154] „ბათუმელების" სტატია, „მზია ამაღლობელის ადვოკატები ნინო წილოსანის გამოკითხვას ითხოვენ", 04.07.2025, განახლებულია: 15.09.2025.

[155] „პუბლიკას" სტატია, „მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ამაღლობელის ადვოკატების შუამდგომლობები, დაკითხულიყვნენ კობახიძე და წილოსანი", 14.07.2025, განახლებულია: 16.09.2025.

[156] „ნეტგაზეთის" სტატია, „კობახიძე ანტირუსული პროტესტის მონაწილეებს „ძალადობრივ დაჯგუფებად" მოიხსენიებს - „ყველა უმკაცრესად აგებს პასუხს", 12.05.2025, განახლებულია: 15.09.2025; „რადიო თავისუფლების" სტატია, „როდესაც უმაღლესი თანამდებობის პირი, პოლიტიკოსი აკეთებს სასამართლოს პარალელურად კომენტარებს და ეს შეიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას, ეს არის პირდაპირი ზეწოლა სასამართლოზე და, პირველ რიგში, თქვენზე (მიმართავს მოსამართლეს). პირდაპირ აძლევს მითითებას სასამართლოს, რომ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი," 24.07.2025, განახლებულია: 15.09.2025.

„პირველი არხის" სტატია, „ირაკლი კობახიძე - პატიმრები, რომლებსაც უწოდებენ სინდისის პატიმრებს, სინამდვილეში, უსინდისო ქმედებების გამო არიან კონკრეტული ბრალის ქვეშ", 15.08.2025, განახლებულია: 15.09.2025.

„პირველი არხის" სტატია, „კახა კალაძე - ზოგიერთი პოლიციელის მხრიდან იყო გადაცდომა, თუმცა, რატომ უწოდებთ „სინდისის პატიმრებს" მათ, ვინც სამართალდამცველებს მძიმე საგნებსა და ქვებს ესროდნენ?" 22.07.2025, განახლებულია: 15.09.2025.

„ტაბულას" სტატია, „მდინარაძე ჭიჭინაძეზე: შემიძლია, თავდებშიც კი ჩავუდგე, თუ გაითავისებს - რა ჩაიდინა", 20.01.2025, განახლებულია: 15.09.2025.

# თავი 4 – პროკურატურის და პროკურორების ინსტიტუციური და პროფესიული პასუხისმგებლობა და სისხლისსამართლებრივი დევნის მართებულობის კრიტერიუმები

კონსტიტუციით დადგენილი პრინციპის[157] თანახმად, საქართველოს პროკურატურა დამოუკიდებელია და თავის საქმიანობაში ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონებს. ეს ნორმა ასახავს პროკურატურის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, ხოლო მისი ფუნქციები განსაზღვრულია როგორც ეროვნული სამართლებრივი აქტებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებში გაწერილი ვალდებულებებით. ამასთანავე, პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა განმტკიცებულია ორგანული კანონით „საქართველოს პროკურატურის შესახებ“. ამ კანონის შესაბამისად, პროკურატურა განეკუთვნება ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ექვემდებარება მხოლოდ კანონს. დაუშვებელია ჩარევა პროკურატურის საქმიანობაში, ან ნებისმიერი სხვა მოქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მის დამოუკიდებლობას.[158]

პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის ფარგლებში ის ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, პროკურატურა სრული მოცულობით იძიებს დანაშაულს, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.[159]

პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში ის არის სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი. სასამართლოში თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.[160] სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა.[161]

სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაძლოა, აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.[162] ამასთანავე, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება[163] აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც, პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. კონკრეტულად:

**პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად არის მიზანშეწონილი დევნის დაწყება კონკრეტულ შემთხვევაში.**

*პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ორი ტესტით:* ***მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით,***

---

[157] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 65.
[158] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ. მუხლი 6.
[159] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 32.
[160] იქვე. მუხლი 33.
[161] იქვე. მუხლი 166.
[162] იქვე. მუხლი 105.
[163] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება, განახლებულია: 17.09.2025.

***რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. <u>სრულ ტესტს</u>***. *მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყოს პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთანავე, ორივე ტესტი შეფასებითია, რაც პროკურორის მხრიდან განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას საჭიროებს.*

*გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებული უნდა იყოს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, როდესაც:*

*ა) საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდადების რეალური პერსპექტივისთვის – <u>მტკიცებულებითი ტესტი;</u>*

*ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი – <u>საჯარო ინტერესის ტესტი.</u>*

*სრული ტესტის თითოეული ეტაპი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა განიხილებოდეს საქმის გარემოებათა ანალიზისა და შეფასების გზით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება დევნის დაწყების/არდაწყების თუ გაგრძელების თაობაზე.*

*მტკიცებულებითი ტესტი - პროკურორმა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ არ არსებობს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი ან/და ნაკლებად მოსალოდნელია პირის ბრალეულობის დადასტურება სასამართლოს მიერ.*

*საჯარო ინტერესის ტესტი - მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, როდესაც მტკიცებულებითი ტესტი დაკმაყოფილებულია, პროკურორმა არ უნდა დაიწყოს დევნა, თუ ის ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს.*

*პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების არსებითი ნაწილია იმის გარკვევა, რამდენად ემსახურება დევნის დაწყება არსებით საჯარო ინტერესს. პროკურორმა უნდა გააანალიზოს, არის თუ არა ეს საჯარო ინტერესში და დევნა არ უნდა დაიწყოს, თუ მისი საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს. საჯარო ინტერესი უნდა განისაზღვროს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.* ზემოხსენებული ბრძანების მიხედვით, მნიშვნელოვანია, შეფასდეს სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი (მაშინაც კი, როდესაც პროკურორს საკმარისი მტკიცებულებები გააჩნია პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად, აუცილებელია, რომ მან შეაფასოს ბრალის ხარისხი დანაშაულის სხვა მონაწილეების ბრალთან მიმართებით. შესაძლებელია, დანაშაულის თანამონაწილის ბრალის ხარისხისა და მოტივის გათვალისწინებით, პროკურორმა მართებულად ჩათვალოს სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა. მაგალითად, თუ პირის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში შედარებით მეორეხარისხოვანია და არ არის სახეზე დევნის განხორციელების სხვა ფაქტორები, პროკურორი უფლებამოსილია, არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა), პირის დანაშაულებრივი წარსული, თანამშრომლობის სურვილი, მისი პიროვნული მახასიათებლები. ამასთანავე, ბრძანებაში მითითებულია, რომ მასში ჩამოთვლილი პრინციპები და ფაქტორები არ არის ამომწურავი და გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რამდენად შედის დევნის განხორციელება საჯარო ინტერესში, მიღებული უნდა იყოს ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს

დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 17 მარტის №008 ბრძანებით,[164] დამტკიცდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს დებულება, რომლითაც საბჭოს ერთ-ერთ უფლებამოსილებად განისაზღვრა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.[165]

2025 წლის 16 ივნისს საიამ წერილობით მიმართა საქართველოს პროკურატურას და გამოითხოვა ინფორმაცია სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, რომლითაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს ხელმძღვანელობს საქართველოს პროკურატურა. ზემოთ ხსენებული ბრძანება საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე დღემდე ხელმისაწვდომია, როგორც მოქმედი რედაქცია, თუმცა საუბარია 2010 წლის დროინდელ ბრძანებაზე.  იმის მხედველობაში მიღებით, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა არ არის სტატიკური სისტემა, მისი შინაარსი და ფორმა მუდმივად იცვლება და ვითარდება საზოგადოების საჭიროებებისა და სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისად. იმავდროულად, ის რეაგირებს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებზე, რაც განაპირობებს მის გადახედვას და ადაპტაციას.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ 2020 წელს საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დამტკიცდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს დებულება, რომლის მიხედვითაც, საბჭო უფლებამოსილია, განიხილოს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებული საკითხები და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.[166]

ამ დროის განმავლობაში, მით უფრო, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ყოველდღიური პროცესია, პროკურატურას ახალი დოკუმენტი მაინც უნდა მოეწოდებინა, ან, თუნდაც, არსებულზე გაეკეთებინა მითითება. მაგრამ, ამისგან განსხვავებით, კანონით დადგენილი ვადის დარღვევით მივიღეთ ქვემოთ წარმოდგენილი პასუხი.

---

[164] საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 17 მარტის №008 ბრძანება, განახლებულია: 17.09.2025.
[165]იქვე. მუხლი 5-დ.
[166] საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 17 მარტის №008 ბრძანება საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 2.5.



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/48-25 16.06. 2025 წ.

საქართველოს პროკურატურის

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ:

